# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 25 იანვარი. 2019 წ. №16 (8682) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი





# ამერიკა-თურქეთის დაპირისპირების გამო საქართველო ორ ცეცხლს შორისაა მოქცეული

## არჩილ თალაკვაძე: ჩვენი დიდი გუნდის ლიდერმა უზრუნველყო, რომ შეხვედრა კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართულიყო

— ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გააკეთა. თალაკვაძის განცხადებით, გუნდის რომელიმე წევრის გარიცხვასთან დაკავშირებით მსჯელობა არ ყოფილა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო და მთელი დრო სასამართლოსთან დაკავშირებულ მსჯელობას დაეთმო.

**„პროცესი უკვე უბრუნდება ნორმალურ სამუშაო კალაპოტს და ვფიქრობ, არის რესურსი ძირითად პრინციპებზე შეთანხმების, რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ სამუშაო პროცესში უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების დროს გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. დღეს გუნდში არსებობს თანხმობა, რომ ჩვენ ყველა ვიმუშავებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებებს, რომელიც ემსახურება სასამართლოს დამოუკიდებლობას და ისეთ სასამართლოს,რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროპულ განვითარებას სჭირდება“,** — აცხადებს თალაკვაძე.

## ამერიკული გემების აქტიურობა შავ ზღვაზე:

# მოსკოვი ვაშინგტონს აფრთხილებს






## რკინის ფარდიდან აბრეშუმის გზამდე

ფოტოგამოფენა, რომელიც დღეს ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში 19 საათზე გაიხსნება, ეძღვნება ედუარდ შევარდნაძის ხსოვნას.


(რუსთაველის გამზ. 7)


# მხოლოდ განრისხებული ხალხის ეშინია ყველა ხელისუფლებას!

## რა გვსურს, რას მივიღებთ საპარლამენტო არჩევნებისგან და სად არის გამოსავალი?!



**ყველა** ერს სურს ნორმალური, ადამიანური ცხოვრება და საკუთარი იდენტობის — ენის, რწმენის, ტრადიციებისა და გარეგნული იერსახის შენარჩუნება, მას არ ანაღვლებს, თუ ვინ რას ფიქრობს მის კანის ფერზე, თვალების ჭრილზე, მეტყველებაზე, ზნე-ჩვეულებაზე, იგი არ გაცვლის და არც არავის დაუთმობს თავის, თუნდაც, ხრიოკ და უდაბნო მიწას, რადგანაც ის მიწა მისი და მისი წინაპრების მშობლიური მიწაა, ის მისი სამშობლოა. მას არ უნდა ძალად თავსმოხვეული არაფერი, თუნდაც, კარგი და, მით უფრო — უცხო ცხოვრების წესი: ლიბერასტული დემოკრატია და ე.წ. გამოხატვის (ყველაფრის!) თავისუფლება, როცა ზნეობასა და უზნეობას შორის ზღვარი წაშლილია, და, როცა ყველაფერ ამას, სამართლიანობის და ეკონომიკური აღმავლობის ნაცვლად, თან სდევს ნგრევა, სისხლი და ცრემლი, ზოგჯერ, მილიონობით ადამიანის! ყველა ერს მხოლოდ მშვიდობიანი, დამოუკიდებელი ცხოვრება და განვითარება სურს, და სწორედ ამიტომ იბრძვის იგი კისერზე შემომჯდარი წურბელების — მახრჩობელა ბანკების და მყვლეფავი კორპორაციების მოსაცილებლად, იმ ძალების თავიდან მოსაშორებლად, რომლებიც მთელ მსოფლიოს არიან შესეულნი მშვიდობისმყოფელის ნიღბით, როგორც განვითარებადი სახელმწიფოების უანგაროდ დამხმარენი, სინამდვილეში კი მათი დამპყრობნი, ეკონომიკურად დამკაბალებელნი და გამჩანაგებელნი! ამ ძალებმა შესანიშნავად იციან, რომ მხოლოდ ამ გზით თუ შეძლებენ ისინი სანუკვარი მიზნის მიღწევას — მსოფლიოზე სრულ ბატონობას და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარებას. აბა, ყველა სახელმწიფო თუ თავის ნებაზე მიუშვეს და ეკონომიკურ თუ სამხედრო აღმავლობაშიც დაეხმარნენ, მაშინ ვინ აიტანს მონურ ყოფას და დამცირებას — საკუთარი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გარედან განსაზღვრას, სახელისუფლებო კადრების — მინისტრებისა და პარლამენტარების გარედან შერჩევას (გავიხსენოთ ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის **ვიქტორია ნულანდისა** და უკრაინაში ამერიკის ელჩის **ჯეფრი პაიეტის** გახმაურებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, როცა 45-მილიონიანი(!) უკრაინის მთავრობის შემადგენლობას, თუ ვინ სად დანიშნულიყო, ერთმანეთში აზუსტებდნენ), ვინ დაუთმობს უცხო ტომის ხალხს თავის წიაღისეულ სიმდიდრეებს ნებაყოფლობით, ვინ იტყვის უარს მშობლიურ ენაზე და ვინ დაიწყებს გამუდმებით დამპყრობის ენაზე სიმღერას, ვინ გაბედავს ან ვის გააბედინებს თავისი საუკუნეებგამოვლილი სარწმუნოების გაქილიკებას? ცხადია, არავინ, მაგრამ, გაღატაკებული სახელმწიფო და მათხოვრად ქცეული ხალხი ადვილად დასაყოლიებელია ყველაფერზე, ანუ ადვილად სამართავი, მით უფრო, იმავე ერის მანქურთებად გადაგვარებული შვილების „დამოუკიდებელი“ მმართველობის საფარქვეშ.


იხ. 4-5 გვ.

## ACCIONA საქართველოში ქარისა და მზის ელექტროსადგურების განვითარებით დაინტერესდა



**განახლებადი ენერგიის სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი კომპანია ACCIONA საქართველოში ქარისა და მზის სადგურების განვითარებით დაინტერესდა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან დავოსში გამართულ შეხვედრაზე კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა რაფაელ მატეო ასკალამ აღნიშნა, ACCIONA-ს დელეგაცია არსებული შესაძლებლობების გასაცნობად საქართველოს მომავალ თვეს ეწვევა.**

პრემიერი ინვესტორს ასევე ესაუბრა საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და მდიდარ ჰიდრორესურსებზე, საქართველოში არსებულ დაბალ გადასახადებზე, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე, ასევე – თანაინვესტირების ფონდზე, რომელიც ყველაზე მსხვილი საინვესტიციო ფონდია.

## საქართველოს მიმართ ყველა ძალიან კეთილგანწყობილია!

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბრიუსელში პირველი სამუშაო ვიზიტი და ნატოსა და ევროკავშირში გამართული შეხვედრები დადებითად შეაფასა. ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა.



**„ევროკავშირთან ურთიერთობის მიმართულებით ძალიან ნიშანდობლივი იყო ის, რომ შევხვდით ევროკავშირის უმაღლეს ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საქართველოსთან თანამშრომლობით. საქართველოს მიმართ ყველა ძალიან კეთილგანწყობილია და გამოითქვა მზადყოფნა, რომ ძალიან ბევრი მიმართულებით გავაღრმაოთ ეს თანამშრომლობა და ძალიან კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ“,** – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. მისი განცხადებით, შეხვედრებზე ძალიან პოზიტიური გზავნილები დადასტურდა ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით.

**„დაფასებულია ის ფაქტი, რომ 300 000-მა ქართველმა ისარგებლა ამ რეჟიმით, შემოვიდა ევროკავშირში და ეს არის ძალიან პოზიტიური. ამავე დროს ვიცით, რომ არის პრობლემები, მაგრამ ამ პრობლემებზე დიდი აქცენტი არ გაკეთებულა. არ იყო აქ არანაირი მუქარა, რომ შეწყვეტილი იქნება ეს პროცესი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვიმუშაოთ, ეს არ ნიშნავს, რომ მოსახლეობა ამ საკითხს დიდი პასუხისმგებლობით არ უნდა მიუდგეს“,** – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, შეხვედრებზე ძლიერი მხარდაჭერა გამოითქვა საქართველოს პოლიტიკის მიმართ, რომ სწორი ნაბიჯებია გადადგმული.

**„ამავე დროს, გამოითქვა შეშფოთება ჩაკეტილ გამშვებ პუნქტებთან დაკავშირებით. ამ მხრივ არსებობს მზადყოფნა, რომ ეს საკითხი გააჟღერონ რუსეთთან ორმხრივ ურთიერთობებში, რათა არ იყოს ეს მიღებული როგორც ფაქტი, რომელსაც შევეგუებით. ყველას მიერ გაცხადებულია არშეგუების პოლიტიკა“,** – თქვა სალომე ზურაბიშვილმა.

## დიდი ბრიტანეთის საელჩო: დიდ მადლობას ვუხდით ქართულ პოლიციას!

**23 იანვარს თბილისში ბრიტანეთის მოქალაქის ჯეკ შეპარდის დაკავების ფაქტს საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩო ეხმაურება და განცხადებას ავრცელებს: „დიდ მადლობას ვუხდით ქართულ პოლიციას მათი ძალისხმევისთვის და თანამშრომლობისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობას“.**

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაერთიანებული სამეფოს ძებნილი მოქალაქე თბილისში დააკავა. 1987 წელს დაბადებული ჯეკ შეპარდი ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში 23 იანვარს ადვოკატებთან ერთად გამოცხადდა და საქართველოს პოლიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა.

ქართველი და ბრიტანელი სამართალდამცველების თანამშრომლობით, ჯეკ შეპარდზე საერთაშორისო არხებით ძებნა მიმდინარე წლის 12 იანვრიდან გამოცხადდა. 31 წლის ბრიტანელი ლონდონის ცენტრალური კრიმინალური სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი გაუფრთხილებლობით ერთი პირის სიცოცხლის მოსპობის გამო და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. შემთხვევა 2015 წლის 8 დეკემბერს მოხდა. ამჟამად დაკავებული პირის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

## საქართველო ხუან გუაიდოს ვენესუელის დროებით პრეზიდენტად აღიარებს!

საქართველო ხუან გუაიდოს ვენესუელის დროებით პრეზიდენტად აღიარებს და მხარს უჭერს ვენესუელელ ხალხს დემოკრატიისთვის ბრძოლაში – საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამ განცხადებას მიკრობლოგ ტვიტერის საშუალებით აკეთებს.

**„იმედი გვაქვს, რომ ვენესუელის ეროვნული ასამბლეა შეძლებს გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბებას, მოემზადება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად და ძალაუფლების მშვიდობიან გადაბარებას უზრუნველყოფს. მხარს უჭერს ვენესუელელ ხალხს დემოკრატიისთვის ბრძოლაში“,** – ნათქვამია განცხადებაში. ვენესუელის პარლამენტის სპიკერმა ხუან გუაიდომ თავი ქვეყნის დროებით პრეზიდენტად გამოაცხადა. აშშ-მა გუაიდო დროებით პრეზიდენტად აღიარა და მადუროს, რომელსაც ის ვენესუელის კანონიერ მეთაურად არ მიიჩნევს, მოსთხოვა, არ დაუშვას ოპოზიციის წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები. მადურომ თავი კონსტიტუციურ პრეზიდენტად გამოაცხადა, გუაიდოს კი აშშ-ის მარიონეტი უწოდა.

ხუან გუაიდო ვენესუელის დროებით პრეზიდენტად ასევე აღიარეს საქართველომ, ბრაზილიამ, კოსტა-რიკამ, პარაგვაიმ, გვატემალამ და პერუმ. ვენესუელის ოპოზიციის ლიდერს მხარდაჭერას უცხადებს ევროკავშირიც.

## რომან კაკულია: უნდა შეიქმნას უმუშევრობის კომპენსაცია

**უმუშევრობის კომპენსაციის მექანიზმი – აღნიშნული ინიციატივით პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია გამოდის.**

კაკულიას თქმით, მას აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაცია ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან უკვე ჰქონდა. მისივე განცხადებით, ქვეყანაში მსგავსი მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია:



**„უნდა გვქონდეს მექანიზმი, რომ ადამიანისთვის, რომელიც დაკარგავს სამსახურს, მის მიმართ გვქონდეს პასუხი – რა ვუთხრათ „საბაზრო ეკონომიკაა და შენთვის პასუხი არ გვაქვს?“ მე ვფიქრობ, რომ თუნდაც სიმბოლურად უნდა შეიქმნას უმუშევრობის კომპენსაცია, რომელიც შეკრავს ლოგიკას. თუ ჩვენი ღია, საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე, რომელიმე კომპანია დაკარგავს კონკურენტუნარიანობას და მისი პროდუქტი აღარ იქნება ბაზრისთვის მიმზიდველი, იქ დასაქმებულთა მიმართ უნდა გვქონდეს ადეკვატური პასუხი.**

**უმუშევრობა როდესაც დგება, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ადეკვატური პასუხი, ეს უნდა იყოს კომპენსაცია და სწავლებები, რათა ადამიანი ახალ უნარებს დაეუფლოს, რაც მას შემდგომი დასაქმებისთვის გამოადგება. ეს არის ჩემი მოსაზრება. დღეს ბიუჯეტს არ აქვს შესაძლებლობა. თუ მომავალში გაჩნდება ეს შესაძლებლობა, მე ამას მივესალმები....**

## ზაზა ოქუაშვილს დეპუტატის სტატუსი შეუწყვიტეს

**ზაზა ოქუაშვილს, რომელიც აჭარის უმაღლეს საბჭოში „პატრიოტთა ალიანსის“ სიით იყო წარმოდგენილი, უფლებამოსილება შეუწყვიტეს. გადაწყვეტილება 10 ხმით იქნა მიღებული.**

ზაზა ოქუაშვილმა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატის მანდატის ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნის განცხადებით 20 დეკემბერს მიმართა.

ოქუაშვილს „პატრიოტთა ალიანსიდან“ სიის მომდევნო წევრი მერაბ ბლადაძე ჩაანაცვლებს

## ინვესტიციების გაზრდა ტარიფის გაზრდის არგუმენტი ვერ იქნება!

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური აცხადებს, რომ კომპანიების მიერ გაკეთებული დაუსაბუთებელი ზეპირი განცხადებები კომისიისთვის მისაღები და დამაჯერებელი არ არის. კახა ბექაური კიდევ ერთხელ მიმართავს კომპანიებს თუ მათ მართლაც სურთ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა, შეაჩერონ ტარიფების გაზრდის პროცესი და რეალური არგუმენტები საქმიან გარემოში გააცნონ კომისიას.



**– მე მქონდა მათ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, თუმცა შეხვედრა არ შემდგარა, ეს სატელეფონო კომუნიკაცია იყო. იცით, რომ კომისიამ მიმართა ორივე კომპანიას, უარი ეთქვათ ტარიფების გაძვირებაზე, ჯერჯერობით დღევანდელი მოცემულობით და „სილქნეტის“ განცხადებით იკვეთება, რომ ამ მიმართვის გათვალისწინება არ მომხდარა. ჩემთვის არ არის მისაღები არც ერთი ზეპირი და თუნდაც წერილობითი დაუსაბუთებელი განცხადებები, ზუსტად ეს მოვთხოვე ოპერატორებს, რომ უარი თქვან კონკრეტული თარიღებიდან გაძვირებაზე, გადმოვიდნენ სამუშაო რეჟიმში და დაასაბუთონ ის, რასაც ესე ზეპირად, დაუსაბუთებლად წერილობით ამბობენ“,** – აცხადებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე.

მისივე განცხადებით, კომისიის მონაცემებით ბაზარზე ამის საჭიროება არ დგას და კომპანიების არგუმენტი, რომ დიდ ინვესტიციებს ახორციელებენ, ტარიფის გაზრდის არგუმენტი ვერ იქნება.

# საფრანგეთის საელჩოს განმარტება

საფრანგეთის საელჩო საქართველოს მოქალაქეებისთვის საფრანგეთში დასაქმების პირობებს განმარტავს. როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ საფრანგეთის საელჩოდან აცნობეს, საუბარია, საფრანგეთის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ 2013 წლის 12 ნოემბრის შეთანხმების განხორციელების თაობაზე.

**„2013 წლის 12 ნოემბერს პარიზში ხელი მოეწერა ორმხრივ შეთანხმებას, რომლის მიზანიცაა დროებითი პროფესიული მიგრაციის გაადვილება, რომელიც ეფუძნება სტუდენტებისა და კვალიფიციური სპეციალისტების მობილობასა და უკან დაბრუნებას პროფესიული კომპეტენციის შეძენის შემდეგ. საქმე ეხება ლეგალური ეკონომიკური მიგრაციის ხელშეწყობას ქვეყანაში შემდგომი დაბრუნების პერსპექტივით, საიდანაც გამომდინარეობს განსაზღვრება „ცირკულარული“. ეს შეთანხმება პირველი ორმხრივი დოკუმენტია, რომელიც საფრანგეთსა და საქართველოს შორის პროფესიული მიგრაციის სფეროში გაფორმდა.**

**ის ითვალისწინებს:**

**– 12-თვიანი ხანგრძლივობის ბინადრობის ბარათის მოთხოვნის შესაძლებლობას საფრანგეთში დიპლომირებული ქართველი სტუდენტებისთვის, რომელთაც სურვილი აქვთ სწავლის შემდგომი პირველი პროფესიული გამოცდილება მიიღონ საფრანგეთში საქართველოში მათი დაბრუნების პერსპექტივით.**

**– ერთი წლის ხანგრძლივობის, განახლებადი დროებითი ბინადრობის ბარათის მითითებით „დაქირავებული მშრომელი“ მოთხოვნის შესაძლებლობას ისეთი პროფესიის ადამიანებისთვის, რომლებიც შეესაბამება საქართველოს მოქალაქეებისთვის ღია 50 პროფესიიდან ერთ-ერთს. საფრანგეთის მიერ წლიურად გაცემული დროებითი ბინადრობის ბარათების რაოდენობა ამ კატეგორიის მშრომელთათვის 500 არ უნდა აღემატებოდეს.**

**– 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდა ფრანგი და ქართველი კვალიფიციური სპეციალისტების გაცვლის განვითარებას, რომლებიც საფრანგეთში ან საქართველოში გაემგზავრებიან კარიერული პერსპექტივის გასაუმჯობესებლად დაქირავებული შრომით მიღებული გამოცდილების წყალობით. ორივე ქვეყანაში მიღებული ახალგაზრდა ფრანგი და ქართველი კვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 150 ადამიანს წელიწადში.**

**2018 წლის 3 დეკემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოსცა კანონი აღნიშნული შეთანხმების აპრობაციის მიზნით. ეს ხელშეკრულების განხორციელების პირველი ეტაპია.**

**საფრანგეთის საელჩო საქართველოში შესაბამის დროს გამოაქვეყნებს ყველა საჭირო ინფორმაციას შეთანხმების შესრულების პირობების შესახებ საქართველოს იმ მოქალაქეების შემოსვლისა და ბინადრობის უფლებასთან დაკავშირებით, რომელთაც შეთანხმებით სარგებლობა სურთ“,** – ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბიძინა ივანიშვილის ჩართული ტაიმერი





**„ერთი წლის განმავლობაში მე გაჩვენებთ და ვაჩვენებ არა მარტო საქართველოს, ევროპასაც, როგორი დემოკრატია შეიძლება აშენდეს საქართველოში... იმის პრეტენზია და ამბიციაც მაქვს, რომ ერთი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება და საქართველოს მოსახლეობა დარწმუნდება, ეს იქნება ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება, მხოლოდ მათზე მზრუნველი. ჩემთვის პარტიას არავითარი სხვა ფასეულობა არა აქვს, არც „ქართულ ოცნებას“, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მაქვს და არც სხვა ნებისმიერს. პარტია იქმნება იმისთვის, რომ იზრუნოს ხალხზე. კეთილი ვინებოთ და ეს დაპირებები შევასრულოთ“.**

ეს განცხადება პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა 2018 წლის 20 ნოემბერს გააკეთა. ხელისუფლებაზე გულგატეხილ მოსახლეობას (თავადვე აღიარა) კიდევ ერთხელ სთხოვა მხარდაჭერა და საპრეზიდენტო არჩევნებზე მისთვის რჩეული კანდიდატისთვის – სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემა. სანაცვლოდ მმართველი გუნდის ლიდერმა პირობა დადო, რომ მომდევნო ერთ წელიწადში ქვეყნის მთავარი პრობლემის (სიღარიბის) მოსაგვარებლად „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს და ქვეყანაში გასაოცარი დემოკრატია აშენდებოდა.

**„რთულია დემოკრატიული მეთოდებით მართვა, განსაკუთრებით ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მაგრამ ამ მეთოდების შეცვლის ცდუნება არავის უნდა გაუჩნდეს... ერთ წელიწადში შედეგი უნდა მივიღოთ მარტივი, კანონმორჩილი, ხალხისგან დაქირავებული ხელისუფლება – ბიუროკრატია, რომელიც, პირველ რიგში, თავად იცავს თამაშის წესებს და შემდეგ ითხოვს სხვებისგან და, რაც მთავარია, ის ბზარი, რაც გაჩნდა საზოგადოებაში, რომ ხელისუფლება ცალკეა და საზოგადოება ცალკე, ეს უნდა გამთლიანდეს,“** – განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

„კომერსანტმა“ გადაწყვიტა, ზუსტად დათვალოს 2018 წლის 21 ნოემბრიდან 2019 წლის 21 იანვრამდე მთავრობის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და განხორციელებული ცვლილება, რომელმაც ქვეყნის ცხოვრებაში გარკვეული ცვლილება შეიტანა.

ტაიმერის ჩართვის შემდეგ **ყველაფერი სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებით იწყება. საქართველოს ამომრჩეველთა 59,52%-მა ბიძინა ივანიშვილის რჩეულს დაუჭირა მხარი და 16 დეკემბრიდან საქართველოს ოფიციალურად პირველი ქალი პრეზიდენტი ჰყავს.**

თუმცა, მანამდე იყო **პრობლემური სესხების განულების დაპირება, რომელიც არჩევნების შემდეგ შესრულდა. ეს ფაქტი** საზოგადოებაში ორგვარად შეფასდა: დადებითი მოვლენა პრობლემური სესხების მეპატრონეებისთვის და მმართველი პარტიის მხარდამჭერებისთვის და „წინასაარჩევნო სპეკულაცია“ – ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალებისთვის და საერთაშორისო ექსპერტთა დიდი ნაწილისთვის.

ამ და სხვა წინასაარჩევნო აქტივობების გამო, **2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ქართველი და უცხოელი ექსპერტების მხრიდან ქვეყნის საარჩევნო ისტორიაში უკან გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა.**

აქვე დავასახელებთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან კიდევ ერთ ფაქტს – **ანალიტიკური კვლევითი კომპანია „The Economist 6ntelligence Unit“-ის კვლევის თანახმად, ქვეყნის დემოკრატიის ინდექსი 10 პუნქტით გაუარესდა** – მსოფლიოს 165 ქვეყანას შორის, დემოკრატიულობის ხარისხით, საქართველო 89-ე ადგილს იკავებს. 2017 წელს კი იგი მსოფლიოს 167 ქვეყანას შორის 79-ე ადგილს იკავებდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2012 წლიდან მოყოლებული საქართველო ასეთი დაბალი ქულით პირველად შეფასდა.

ივანიშვილის გახმაურებული ვიდეომიმართვის შემდეგ დაპირებული ცვლილებები მთავრობაში არა, მაგრამ პარლამენტში ნამდვილად დაიწყო. **პირველი „მსხვერპლი“ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აღმოჩნდა. მან თანამდებობის საკუთარი ნებით დატოვების ოფიციალურ მიზეზად უვადოდ დასანიშნი მოსამართლეების სია დაასახელა. არაოფიციალურად კი სხვა თემებიც გაჟღერდა და საპარლამენტო შიდა დაპირისპირებაც ღიად გაიშიფრა.**

არჩევნების შემდეგ, მართალია, წერილობითი ფორმით, მაგრამ „ქართული ოცნების“ ლიდერი მაინც გამოჩნდა, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც მის გუნდში ახალგაზრდა და ძველი გვარდიები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ივანიშვილმა ახლების მხარე დაიჭირა.

**„ეკა ბესელია წავიდა გუნდის და გუნდურობის პრინციპის წინააღმდეგ,“** – სწორედ ასე შეაფასა ივანიშვილმა თავის ღია წერილში ბესელიასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები და აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ ქვეყნის მთავარი პირი საზოგადოების წინაშე აღარ გამოჩენილა.

უვადოდ დანიშნულ მოსამართლეთა სიას სამოქალაქო სექტორშიც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა და 2019 წელს პირველი საპროტესტო აქციაც ამ ფაქტს მიეძღვა.

ამ ორი თვის მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ბანკის და ბანკირის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია, რომელიც საზოგადოებამ უკვე შეაფასა ხაზარაძე-ივანიშვილის დაპირისპირებად, არაოფიციალურ მიზეზად კი ანაკლიის პორტი დასახელდა.

ამ ორი თვის განმავლობაში ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის განვითარების გეგმებზე და პერსპექტივებზე არაერთი განცხადება გაკეთდა, მაგალითად, ის, **რომ საქართველო ევროპა-აზიის სატრანსპორტო ჰაბი გახდება, ჩვენი ქვეყნით ნიდერლანდური კომპანია Damen Shipyards-ი დაინტერესდა და შეიძლება გემთმშენებლობის საწარმო აშენდეს, ჩინეთის ავტომობილების ლიდერი მწარმოებელი Guangzhou Automobile Group-ი წარმომადგენლობას გახსნის და** ა. შ. თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ სიტყვებია.

**აქვე იმ ცვლილებების ნაწილსაც ჩამოვთვლით, რომელიც უშუალოდ ივანიშვილს არ უკავშირდება, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განხორციელდა. ძირითადი ჩამონათვალი შემდეგია:**

- 16 დეკემბერს საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის პარალელურად ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია:
- 2019 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა საპენსიო დაგროვებითი სისტემა;
- ამავე პერიოდიდან დაიწყო ავტომანქანების საყოველთაო ტექინსპექტირების მორიგი ეტაპი.
- 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) დებულება, რომლითაც სესხის გამცემ ყველა ორგანიზაციას ევალება, შეაფასოს მსესხებლის გადახდისუნარიანობა.

**ასე გამოიყურება ის ძირითადი მოვლენები, რომლებიც ივანიშვილის ვიდეოგანცხადების შემდეგ, ანუ ორი თვის განმავლობაში დაგვამახსოვრდა.** რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, გუშინ პარტია „ქართული ოცნების“ მთავარ ოფისში ივანიშვილმა მმართველი გუნდი დაიბარა და, როგორც პარტიაში ამბობენ, სამუშაო შეხვედრების ეტაპიც დაიწყო... რას შეცვლის ივანიშვილი გუნდში და ქვეყნის ცხოვრებაში, „კომერსანტი“ ერთი თვის შემდეგ ისევ დაითვლის.

**სალომე ლემონჯავა**

# ილჰამ ალიევი: საქართველოსთვის ევროპაში ტვირთების სახმელეთო გზით გაგზავნა უფრო ეკონომიური და სწრაფია

*აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, შვეიცარის ქალაქ დავოსში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ყოფნისას, ვრცელი ინტერვიუ მისცა ჩინეთის ტელეარხის CGTN (Chine Global Television Network)-ის კორესპონდენტს, რომელშიც მან ისაუბრა ქვეყნის ეკონომიკურ მიღწევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე. იგი შეეხო აზერბაიჯანის ენერგოსექტორის განვითარებას, ყურადღება გაამახვილა სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული კომუნიკაციების მნიშვნელობაზე და იმ სატრანსპორტო პროექტებზე, რომლის მეშვეობითაც ჩინეთი შესაძლოა, ევროპას დაუკავშირდეს.*

*საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ამონარიდს ინტერვიუდან:*

**„როცა ჩინეთში ვიზიტით ვიყავი, შევხვდი პრეზიდენტ სი ძინპინს, ვისაუბრეთ და ვიმსჯელეთ ინიციატივაზე „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რომელსაც აზერბაიჯანი სრულიად უჭერს მხარს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა აზერბაიჯანი ამ ინიციატივისა და გლობალური პროექტის აქტიური მონაწილე გახდეს. ვთვლით, ჩვენ უკვე გარკვეული საქმეები გვაქვს გაკეთებული ამ მიმართულებით: გავიყვანეთ რკინიგზა „ბაქო-თბილისი-ყარსი“ და ამრიგად, სატრასპორტო ქსელი ევროპამდე გავაგრძელეთ.** რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ტვირთების გადაზიდვას ჩინეთიდან ევროპისაკენ სხვადასხვა მიმართულებები აქვს, ამიტომაც ამ პროცესში აქტიურ ჩართვას ვგეგმავთ. ვმუშაობთ შუააზიელ, ქართველ, თურქ და ევროპელ პარტნიორებთან. ბუნებრივია, ჩვენი მიზანია ჩინეთიდან ტვირთების მიღება მათი ტრანსპორტირების უზრუნველყოფა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის შიგნით ყველაფერი მოგვარებულია. ამჟამად აზერბაიჯანი ფლობს ყველაზე დიდ ფლოტს კასპიის ზღვაზე, რომელიც ძირითადად ტანკერებისა და სხვა სავაჭრო-სატვირთო გემებისაგან შედგება. მათ ტვირთი კასპიის აღმოსავლეთი ნაპირიდან დასავლეთისკენ გადააქვთ და პირიქით. ჩვენ გვსურს, რომ აზერბაიჯანში ბევრმა ჩინურმა კომპანიამ იმუშაოს, რომ მათ ჩვენს ეკონომიკაში ინვესტიციები დააბანდონ, ახალი შესაძლებლობები იპოვონ. ამრიგად, „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ ჩვენთვის ნამდვილად საინტერესო პროექტად ითვლება, მხარს ვუჭერთ და ჩვენი წვლილი შევიტანეთ იმ ნაწილების შექმნაში, რომელიც ამ გზას აკლდა.



**– და რას გულისხმობთ „ნაწილების შექმნაში“?**

– მხედველობაში მაქვს ის რკინიგზა, რომელიც ბაქოში იწყება და თურქეთისაკენ მიემართება. ადრე ასეთი გზა არ არსებობდა და აზიიდან მიღებული ტვირთები ევროპაში, აზერბაიჯანის გავლით, საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურებით იგზავნებოდა. რკინიგზის გაყვანის შედეგად კი ტვირთები სახმელეთო გზით პირდაპირ ევროპაში მიდის, ან ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში. ეს ნიშნავს ხარჯების ეკონომიას, ტვირთების სწრაფ მიტანას დანიშნულების ადგილზე და დიდ შემოსავლებს.

**– თქვენ დიდ ყურადღებას უთმობთ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს...**

– დიახ, ეს ერთმნიშვნელოვანია. „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო მაგისტრალი 2017 წლის ბოლოს გაიხსნა. ჩვენ იმ დროს ბაქოს საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე დიდი ცერემონია მოვაწყვეთ და პირველი ტვირთიც გავგზავნეთ. სხვათა შორის, გეტყვით, რომ ჩვენ უკვე ვიღებთ ტვირთებს ჩინეთიდანაც.



## რას საქმიანობს გიორგი მარგველაშვილი?!

**საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი ძველ საქმიანობას უბრუნდება – გიორგი მარგველაშვილი GIPA-ში სალექციო კურსს წაიკითხავს. ლექციების თემა იქნება პოლიტიკა.**

**კურსზე განხილული იქნება ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორიცაა ინდივიდის როლი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესის ფორმირების პროცესში, სამართლიანობის, თანასწორობის, თავისუფლების, ძალთა ბალანსისა და გადანაწილების, მასობრივი კომუნიკაციის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეროვნული მთლიანობის, მრავალფეროვნების შენარჩუნების, კონსტიტუციონალიზმის, ეროვნული მედეგობის და სხვა საკითხები.**

**ამასთან, ცნობილია, რომ გიორგი მარგველაშვილმა ძველი იმიჯი დაიბრუნა – წვერი მოუშვა.**

## ერთპიროვნული მმართველობა გადაგვარჩენს?!

# მხოლოდ განრისხებული ხალხის ეშინია ყველა ხელისუფლებას!

(პირველი გვერდიდან)

დაპყრობილ მდგომარეობაში ცხოვრება რომ არ ვარგა, ეს ყველასთვის გასაგებია, მაგრამ არც ისე ადვილია იმის თქმა, თუ **რომელი სახის დაპყრობაა უფრო მეტად სახიფათო ერის მომავლისთვის — სამხედრო თუ ეკონომიკური.** სამხედრო აგრესია, ერთი შეხედვით, უფრო საშიშია, დამანგრეველია, მაგრამ სტრატეგიული (მომავლის) თვალსაზრისით ნაკლებ სახიფათოა, ვინაიდან ძალით შემოჭრილს ფხიზლად ხვდება ხალხი (ამის დიდი ისტორიული გამოცდილებაც გაგვაჩნია), რაც იმაში გამოიხატება, რომ აგრესორის ყოველ ნაბიჯს შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგება და მაქსიმალურად ცდილობს, არ მიიღოს, ცხოვრების წესად არ აქციოს დამპყრობლის ის ადათ-წესები, რაც საფრთხეს შეუქმნის მის არსებობას, ერის თვითმყოფადობას. ყველაზე მაცდური და საშიში ეკონომიკური დაკაბალებაა, როდესაც მეგობარ-პარტნიორის მანტიამოსხმულები ისე მოგაჩვენებენ თავს, ისე ოსტატურად შემოგაპარებენ ეკონომიკის „ასაღორძინებელ“ კრედიტებს, მასთან ერთად სპეციალურად გაწრთვნილ მრჩევლებსაც, ანუ „ეკონომიკურ მკვლელებს“ და გაგაყოფინებენ ვალების ყულფში თავს, თანაც, საკუთარი ხელით (!), ისე აგარჩევინებენ თავის ჭკუაზე გამოზრდილი ადამიანებით დაკომპლექტებულ, უცხო სახელმწიფოს ინტერესების უსიტყვოდ გამტარებელ ძალებს ხელისუფლებაში (მის მიერვე შექმნილ-დაფინანსებული პარტიებიდან და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან), რომ გონს როცა მოვალთ და ყველაფერს მივხვდებით, უკვე გვიანია — ვნახავთ, რომ ყველა სფეროში მთელი ძალაუფლება „პროდასავლური იდეოლოგიით გაჟღენთილი“ (ივანიშვილის შეფასებით) ადამიანების ხელშია, რომელთა შეცვლა არჩევნებით ძალზე ძნელია, პრაქტიკულად, — შეუძლებელი! აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორ უნდა დაამარცხო მშვიდობიანი გზით ისეთი ძალა, რომლის ხელში თავმოყრილია აბსოლუტურად ყველაფერი: ადმინისტრაციული რესურსები და ფინანსები, პროკურატურა და სასამართლო, პოლიცია და ჯარი, საარჩევნო კანონი და ცენტრალური საარჩევნო კომისია, თითქმის ყველა ტელევიზია და დიდწილად პრესაც, და რომელსაც აშკარად უჭერს მხარს დასავლეთი (ამერიკის შეერთებული შტატები და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ევროპა). **მმართველი ძალის დამარცხებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვებს ამერიკა, თუ მას ისევ მისი ინტერესების გამტარებელი, რეზერვში მყოფი ანალოგიური ძალით (პარტიით) ჩაანაცვლებს.**

ვინაიდან სხვა გამოსავალი არ გვაქვს, თუ გვსურს „დამოუკიდებელი“ 25-წლიანი ჭაობიდან, ანუ სტაგნაციიდან (რაც, თითქმის, ერთი და იგივეა პირდაპირი გაგებითაც) თავის დაღწევა, არ უნდა დავიშუროთ ძალ-ღონე და ყველანაირად შევეცადოთ ხალხის ნების გაყალბების თავიდან აცილებას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში. სათქმელად ადვილია და განსახორციელებლად ძნელი, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს, სხვა გზა მხოლოდ აჯანყებაა, რაც არავის არ გვსურს, ჯერჯერობით!

**ხალხის ნების გაყალბება,** ფაქტობრივად, **ორი გზით ხდება: უშუალოდ საარჩევნო პროცესის, ანუ ამომრჩეველთა ხმების გაყალბებით და, საკუთრივ ამომრჩეველთა ნების მიზანმიმართული გაუკუღმართებით.**

**საარჩევნო პროცესი** იმდენად გამჭვირვალე უნდა გავხადოთ, რომ იგი ვერც **თამარ ჟვანიამ** გააყალბოს, რომელსაც ვერა და ვერ ელევა „ოცნება“ (კვლავ ცესკოს თავმჯდომარედ დანიშნა!) და, ვერც დასახმარებლად მიწვეულმა საკაშვილისდროინდელმა, „საარჩევნო კარუსელებში“ გაწაფულებმა: **ხათუნა გოგორიშვილმა, მიხეილ მაჭავარიანმა** და **ლევან თარხნიშვილმა** (გამორიცხული არაფერია, **კოჰაბიტაცია არჩევნებზეც ვრცელდება!).** ამისათვის კი უნდა მივაღწიოთ შემდეგს:

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ჟვანიას მოფიქრებული მახინჯი მეთოდოლოგიის გამოყენება საარჩევნო სიების შედგენისას. აღნიშნულ **სიებში უნდა შევიდნენ მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ამომრჩევლები და მას დაემატოს უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეებიდან** (ორი მილიონიდან!) **მხოლოდ ისინი, ვინც დარეგისტრირდება, სხვა არავინ** (და არა, — აბსოლუტურად გაუგებარი რაოდენობა — 800 ათასი, რამდენსაც ამჟამად თვითნებურად ამატებს ცესკოს თავმჯდომარე!). **ხმის მიცემის საშუალება აუცილებლად უნდა მიეცეს ყველაზე დიდ დიასპორას — რუსეთში მცხოვრებ ქართველებს!**

მაგრამ, არც ეს, ვერც ამომრჩევლების მაქსიმალურად მობილიზება და ვერც პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა საქმეს ვერ უშველის (თუმცა, სამივე მნიშვნელოვანია და ამასაც უნდა მივაღწიოთ, ცხადია), თუკი არ მოხდება **საარჩევნო უბნებზე მისული ამომრჩევლების ზუსტი აღრიცხვა უბნებზე დამონტაჟებული ვებკამერების მეშვეობით,** რათა ონლაინ რეჟიმში მთელმა მოსახლეობამ შეძლოს არჩევნებისთვის თვალყურის დევნება, დარღვევების დაფიქსირება და გამოცხადებული ამომრჩევლების ზუსტი აღრიცხვაც (ხელისუფლების მიერ უსახსრობის მომიზეზება მაშინ, როცა იგი მილიონებს ხარჯავს უცხოელი მომღერლების მოწვევაში, არგუმენტად არ მიიღება!); და ბოლოს, **უნდა გამკაცრდეს სასჯელი გაყალბებაში შემჩნეულების მიმართ, და რაც უფრო მაღალი თანამდებობის პირი იქნება მხილებული, მით უფრო მკაცრი უნდა იყოს სასჯელი.**

ვფიქრობ, ჩემი განმარტების გარეშეც ნათელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებს ხელისუფლება თავისით არ განახორციელებს, იგი მხოლოდ მასიური გამოსვლებით შეიძლება ვაიძულოთ, დაყვეს ხალხის ნებას. ამის ორგანიზება კი იმ პარტიებმა უნდა ითავონ, რომლებსაც პარლამენტში მოხვედრა სურთ.

რაც შეეხება **ამომრჩეველთა ნების გაუკუღმართება-გაყალბებას.** ამაში იგულისხმება ჩვენი ტვინების მიზანმიმართული გამორეცხვა სხვადასხვა პიარტექნოლოგიური ხერხებით: კანდიდატებს წარმოაჩენენ მრავალმხრივ განათლებულ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ნასწავლ თუ კვალიფიკაციაამაღლებულ, უცხო ენების მცოდნე პირებად, მაგრამ **ყველაზე მთავარი, ანუ ინფორმაცია ამ ადამიანის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, ამომრჩეველს შეგნებულად არ მიეწოდება.** ამიტომ, მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებნი და ისინი, ვისაც ლუკმა-პურზე აქვს ყოველდღიურად საფიქრალი და ინფორმაციის ნაკლებობასაც განიცდის, ადვილად შედის შეცდომაში, უყურებს რა კანდიდატის ფორმალურ მონაცემებს — როგორ გამოიყურება და მეტყველებს, საიდანაა წარმოშობით და რა დაპირებებს იძლევა. ყველაზე დიდ და უხშირესად შეუსრულებელ დაპირებებს აფერისტებად წოდებული ადამიანები რომ იძლევიან, ეს ანტიკური ხანიდან ცნობილია, მაგრამ გულუბრყვილო, წესიერი ადამიანები მაინც ხშირად ეგებიან მათ ანკესზე. ძირითადად, სწორედ ამ მონაცემების თუ შთაბეჭდილებების საფუძველზე კეთდება არჩევანი. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აგიტაცია—პროპაგანდა, ანუ პიარტექნოლოგიები ისეა მეცნიერულად დახვეწილი, რომ კარგად განათლებული და ინფორმირებული ადამიანებიც კი (ოღონდ ისინი, რომლებიც ნაკლებად არიან ჩახედულნი დასავლეთის, კერძოდ, ამერიკა-ინგლის-ისრაელის პოლიტიკაში), ადვილად იჯერებენ უცხოური სააგენტოების მიერ მოწოდებულ და ჩვენი მასმედიით ტირაჟირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. „როგორ, ამას ხომ ამერიკის და დასავლეთ ევროპის მთავარი სააგენტოები იტყობინება — სიენენი, ენბისი, ბიბისი, ფრანსპრესი, ევრონიუსი, სხვები და სხვები, ყველანი იტყუებიან“?! გაკვირვებულები შეგეპასუხებიან ისინი და ჰგონიათ, რომ დამაჯერებელი არგუმენტი მოჰყავთ. ის კი არ იციან, რომ **მთელი მსოფლიოს წამყვან მასმედიას ხუთიოდე ამერიკული ოჯახი განკარგავს და საერთო პოლიტიკას, ანუ ტყუილ-მართლის გავრცელებასაც ის განსაზღვრავს.** ეს, შეიძლება ბევრისთვის უცნობი იყოს, მაგრამ ის მაინც ხომ უნდა იცოდნენ, რომ თავად ამერიკის **პრეზიდენტმა ტრამპმა ამერიკულ სიენენსაც და ენბისისაც, თანაც, არაერთხელ „სიცრუის, შეთხზული ახალი ამბების გამავრცელებლები“ უწოდა.**

იმისათვის, რომ ამომრჩეველს გაუადვილდეს სწორი არჩევანის გაკეთება, მან კარგად უნდა იცოდეს, თუ ვინ ვინ არის, ანუ რომელი პარტია რა პოზიციაზე დგას, ვისი სამომავლო პოლიტიკაა მისთვის ახლობელი. ვინაიდან პარტიების პროგრამებს (ფაქტობრივად, დაპირებებს, რომლებიც ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთიმეორისას) ამომრჩევლის ერთი-ორი პროცენტიც არ კითხულობს, ამიტომ მოსახლეობაში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის ამოსავსებად თითოეულმა პარტიამ პასუხი უნდა გასცეს სავალდებულო კითხვარს, რომლითაც ადვილად გასაგები გახდება ყოველი მათგანის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ორიენტირი (პროპორციული სისტემის შემთხვევაში ეს ბევრად უფრო ადვილი განსახორციელებელი იქნება, ვიდრე დღემდე მოქმედი შერეული სისტემის პირობებში, ვინაიდან მხოლოდ არჩევნებში მონაწილე პარტიებს მოუწევთ პასუხების გაცემა და არა — პარტიის თითოეულ წევრს). ამ პასუხებით ბევრს აეხილება თვალები და უდავოდ გაუადვილდება პარტიებს შორის არჩევანის გაკეთება. **რომელი პარტიაც თავს აარიდებს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას, მას არ უნდა მივცეთ ხმა, ხოლო ის, ვინც პასუხის საპირისპირო პოლიტიკის გატარებას დააპირებს მომავალში, დაუყოვნებლივ და მარტივი პროცედურით უნდა იქნეს გამოწვეული პარლამენტიდან** (დეპუტატთა გამოწვევა ამჟამად, პრაქტიკულად, არ ხერხდება — გამოწვევის მექანიზმი შესამუშავებელია!). პასუხები ბევრ კითხვაზეა გასაცემი, მე მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანს მოვიყვან (კითხვარი, რა თქმა უნდა, გასაფართოებელია):

**1. საჭიროდ მიიჩნევთ თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის გასამართლებას?**

**2. ემხრობით თუ არა რეფერენდუმების ჩატარებას ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე,** როგორებიცაა: „ნატოში“ გაწევრება, რუსეთთან მოლაპარაკებების ინიცირება, მიწების და მიგრაციის კანონების გამკაცრება და სხვა.

**3. წინააღმდეგი ხართ თუ არა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე „ნატოში“ შესვლის?**

**4. უნდა აიკრძალოს თუ არა ჰომოსექსუალიზმის რეკლამირება?**

**5. წინააღმდეგი ხართ თუ არა ერთნაირსქესიანთა ქორწინების და ამგვარი წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანის?**

**6. წინააღმდეგი ხართ თუ არა მარიხუანის ლეგალიზების?**

საკმარისია რომელიმე პარტიის მიერ პასუხად გაცემული ერთი „არა“ და, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეცოდინება, რომ ამ პარტიამ არ უნდა იხილოს პარლამენტის კედლები! **ხმა არ უნდა მივცეთ,** აგრეთვე, **პარტიებს, რომლებიც ასოცირდებიან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“,** ანუ იმ პარტიებს, რომლებიც ოპოზიციურად განიხილებიან, მაგრამ არათუ არასოდეს არ გამოსულან სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ, არც კი დაუგმიათ იგი!

* * *

მმართველ ძალას, ანუ გაერთიანებულ, გნებავთ, „კოჰაბიტირებულ“ ქოც-ნაცების ძალას დაპირისპირებული (ზოგი მართლა, ზოგიც — ფორმალურად) ოპოზიციური პარტიები, თითქმის ყველანი, დღეს მოითხოვენ **პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას.** ცოტა უცნაურია ის ფაქტი, რომ 2004-2016 წლების მანძილზე ოთხივე საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდა — მაჟორიტარულ-პროპორციულით (სამი — „ნაცმოძრაობის“ და, ერთიც — „ოცნების“ პერიოდში) და, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ნიუანსებში ჩახედულ პარტიებს (ორი-სამის გამოკლებით) ვერა და ვერ გაჰყავდათ თავთავიანთი კანდიდატები პარლამენტში, მაინც არ მოუთხოვია არც ერთ მათგანს პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, თუმცა, იმთავითვე ცნობილი იყო, რომ **პროპორციული სისტემა უფრო დემოკრატიულ სისტემადაა მიჩნეული** (ყველა მანდატი პარტიების მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება), **პარლამენტი ჭეშმარიტად მრავალპარტიული, პლურალისტული ხდება და მმართველი ძალის დამარცხება** თუ არა, მისი შევიწროება — მისთვის საკმაო რაოდენობის ხმების წართმევა **ბევრად უფრო ადვილდება** (თუ არ ჩავთვლით 2012 წლის გარდამტეხ არჩევნებს, შერეული სისტემის დროს მაჟორიტარების თითქმის ყველა(!) მანდატს მმართველი პარტია ეუფლებოდა). მაგრამ, როგორც იტყვიან, „სჯობს გვიან ...“ (პროპორციული სისტემის მინუსებზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ).

რთული, ძალიან რთული იქნება არჩევნებთან დაკავშირებული ზემოთ დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელება, მაგრამ არა — შეუძლებელი. ერთადერთი, რასაც ეროვნული ინტერესების დამცველი პარტია ვერასოდეს ვერ მიაღწევს, ეს ამერიკის ხელისუფლების კეთილგანწყობაა! კეთილგანწყობას ვინ ჩივის, მისი ნეიტრალიტეტი აქვთ სანატრელი მთელ მსოფლიოში! ეს დასკვნა ბევრი ფაქტიდან, განსაკუთრებით კი, შედარებით ახალი და უტყუარი ფაქტიდან გამომდინარეობს, რომელიც თავად ამერიკის პრეზიდენტმა ამცნო მსოფლიოს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფლორიდაში გამოსვლისას 2016 წელს: **ტრამპმა საჯაროდ დაადანაშაულა მოქმედი პრეზიდენტი ობამა და პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი — ჰილარი კლინტონი ტერორისტული ისლამური სახელმწიფოს შექმნაში! და კლინტონს, დამატებით, კორუმპირებულიც უწოდა!** მიხვედრით ამას ბევრი ხვდებოდა, მაგრამ ასეთ მაღალ დონეზე აღიარებას არავინ მოელოდა მსოფლიოში! ეს ბრალდება არც ერთს არ უარუყვია და ცილისწამებისთვის ტრამპისთვის პასუხი არ მოუთხოვია! ძალიან მწყრალად უნდა იყო კაცი საღ აზროვნებასთან, რომ აქედან გამომდინარე ლოგიკური კითხვა არ დაგებადოს: **ტერორისტული ორგანიზაციების შემქმნელი** (ცნობილი ბენ ლადენის „ალ ქაიდადან“ დაწყებული და სხვა მრავალით არდასრულებული!), **მისი დამფინანსებელ-შემაიარაღებელი** (აბა, სხვანაირად, და მათი თავმოყრის გარეშე ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკის ქვეყნებიდან, ტერორისტული სახელმწიფო ცარიელ ადგილზე და თავისით, ვერანაირად ვერ აღმოცენდებოდა!); **ნაირ-ნაირი სახელწოდების რევოლუციების და მაიდნების მომწყობი; ერაყის, ავღანეთის, ლიბიის, სირიის და ა.შ. მიწასთან გამასწორებელი; იუგოსლავიის და უკრაინის დამშლელი ამერიკა მაინცდამაინც საქართველოს გამთლიანებას და ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლ ძალებს დაუჭერს მხარს?!** გამორიცხულია! აქვე იმასაც დავამატებ, რომ **საქართველოს არც „ნატოში“ მიიღებს ამერიკა არასდროს!** მამალი ნატოფილების გასაგონად ვიმეორებ: არასდროს! არა წესდების — „ნატოს“ წევრების არაერთსულოვნების, ჩვენი ტერიტორიული პრობლემების ან სხვა მიზეზის გამო, არამედ, **სუფთა პრაგმატული მოსაზრებით.** ამერიკას ყველაზე უკეთ აქვს გაცნობიერებული უმარტივესი რამ — საკმარისია, მან ერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგას ამ მიმართულებით, რომ რუსეთი დაუყოვნებლივ მოახდენს საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ოკუპაციას, და **ამერიკა დაემშვიდობება არა მარტო საქართველოზე გავლენას, არამედ მთლიანად ამიერკავკასიაზე გავლენის მოპოვებაზე ოც-**

# ერთპიროვნული მმართველობა გადაგვარჩენს?!

## რა გვსურს, რას მივიღებთ საპარლამენტო არჩევნებისგან და სად არის გამოსავალი?!



**ნებასაც და, უზარმაზარი საელჩოც ოხრად დარჩება დილომში! ამერიკა ისედაც გვიყენებს როგორც უნდა და სადაც უნდა, ამიტომ აუტკივარ თავს არაფრით არ აიტკივებს! ბრიყვები ჩვენ ვართ, და არა — ის!**

ბრიყვები რომ ვართ, იქიდანაც ჩანს, რომ არა მარტო გვატყუებენ ნაირ-ნაირი დაპირებებით, არამედ დაგვცინიან კიდეც. მასხრად აგდებაა, აბა რა არის, როცა ფაქტობრივად, **უუფლებო პრეზიდენტს საერთო სახალხო კენჭისყრით გვარჩევინებენ (!) ექვსი წლის ვადით, უფლებამოსილებით მაქსიმალურად აღჭურვილ პრემიერ-მინისტრს კი გვინიშნავენ (!) და, როცა მოეპრიანებათ, ისე ხსნიან, „როგორც დაგიბარებიათ“;** როცა დანაშაულებრივი განაჩენების გამოტანაში მხილებულ და **სააკაშვილის რეჟიმთან მჭიდროდ მოთანამშრომლე მოსამართლეებს უვადოდ(!) გვანიშნინებენ; როცა ქრისტიანობასთან დაუნდობლად მებრძოლი ისტორიული „მეგობრებისთვის“ ფართოდ გვაღებინებენ სასაზღვრო კარებს,** აძლევენ რა მათ უვიზოდ შემოსვლის, ქართული მიწის უპრობლემოდ ყიდვის და ბინადრობა-მოქალაქეობის უფლებას; **ქართველებს კი უცხოეთში გადასახვეწ კარებს გვილეჭენ და ახლა უკვე, იქ დარჩენაში(!)** — მუშაობის ნებართვის მიღებაშიც **გვეხმარებიან!** მეტი დაცინვა და სამშობლოზე, ერზე „ზრუნვა“ რაღა უნდა იყოს!

მომავალ, **2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს მივუბრუნდეთ, ვის და რამდენ პარტიას ვიხილავთ იქ?** შეგვიძლია წინასწარ განჭვრიტოთ მისი შედეგები? შევეცადოთ: დავუშვათ, არნახული ძალისხმევა გამოვიჩინეთ, ღმერთმაც გადმოგვხედა მოწყალე თვალით და ყველა პრობლემა იდეალურად მოგვარდა: საარჩევნო სიები დაზუსტდა, ვებკამერები დამონტაჟდა, ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ და კითხვარმა შედეგი გამოიღო — ამომრჩეველთა აქტივობამ იმატა და დიდმა ნაწილმა სწორი არჩევანი გააკეთა, პატრიოტულმა ძალებმა, როგორც იქნა, საერთო ენა გამონახეს, გაყალბება ვერავინ ვერ გაბედა და პარლამენტიც პროპორციული სისტემით ავირჩიეთ! ამაზე უკეთესი ვარიანტის ნატვრა, ალბათ, შეუძლებელია.

აქამდე ჩატარებულ არჩევნებში, როდესაც ჯერ 7% (2004) და შემდეგ უკვე 5%-იანი საარჩევნო ბარიერი მოქმედებდა, მის გადალახვას მხოლოდ 2-3 პარტია ახერხებდა (მხოლოდ 2008-ში შეძლო ეს ოთხმა პარტიამ). 2020 წლის პარლამენტში (ვიმედოვნებ, პროპორციული სისტემით არჩეულში) გასული პარტიების რაოდენობის დადგენა შედარებით ადვილია. 75-80%-იანი აქტივობის შემთხვევაში (რაც სავსებით მოსალოდნელია) ერთი მანდატისთვის (150-დან) საკმარისი იქნება 14-15 ათასი ხმა, ანუ მიცემული ხმების 0.65-0.70%. 2016 წლის მონაცემებიდან კი ვიცით, რომ მაშინ 0.70%-ზე მეტი ხმა ათმა პარტიამ მიიღო, ამიტომ მომავალ საკანონმდებლო ორგანოშიც, დიდი ალბათობით, 10-12 პარტიას ვიხილავთ. **და გვექნება ნანატრი დემოკრატიული, ჭეშმარიტად მრავალპარტიული, პლურალისტული პარლამენტი!**

სანამ პარლამენტის სავარაუდო შემადგენლობაზე გადავიდოდე, მანამდე ერთიც ვიკითხოთ: **კარგია ეს თუ ცუდი?** თითქოს, უცნაური, ალოგიკური კითხვა ჩანს, რადგანაც თუკი მრავალპარტიული უდავოდ სჯობს ერთ ან, თუნდაც, ორპარტიულს, მაშინ რაღა საკითხავია — რაც მეტი პარტია გავა პარლამენტში, ცხადია, მით უკეთესი იქნება ეს სახელმწიფოსთვის, მისი დემოკრატიულად მართვისთვის! მაგრამ, მაშინვე მეორე კითხვაც ჩნდება: კი მაგრამ, 5 და 7%-იანი საარჩევნო ბარიერები, პირიქით, პარლამენტში პარტიების რაოდენობის შემცირების(!) მიზნით რომ არის მოფიქრებული?! რითი ავხსნათ ასეთი, ერთი შეხედვით, გაუგებარი შეზღუდვების დაწესება?! აქვე, ამერიკის მაგალითიც გაგვახსენდება, სადაც მრავალპარტიულობა მინიმუმამდე — ორპარტიულობამდეა(!) დაყვანილი აგერ უკვე 200 წელია და მრავალპარტიულზე გადასვლას არც არავინ აპირებს. ეს როგორ, უნდა გავიკვირვოთ, ალბათ, ყველამ: დემოკრატიულობის და პლურალიზმის უპირატესობის შესახებ ამერიკაში არ სმენიათ?! ეს ჩვენთვის და ჩვენისთანებისთვის არის მოფიქრებული გავრცელებული სენტენცია: **„საპარლამენტო მმართველობაზე უკეთესი კაცობრიობას არაფერი მოუგონია“,** თორემ ამერიკის მესვეურებს ძალიან კარგად მოეხსენებათ, რომ **საპარლამენტო მმართველობა, განსაკუთრებით, მრავალპარტიული, ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასტაბილურობისკენ** და, რომ ასეთნაირად დაკომპლექტებული საკანონმდებლო ორგანო თავისი უარყოფითი მხარეებით, სახელმწიფოს გაძღოლისთვის მიზანშეუწონელია — **კანონების მიღება,** განსაკუთრებით, რომლებსაც კონსტიტუციური უმრავლესობა სჭირდება, **ერთობ გაძნელებულია** და დროში გაწელილი, ზოგჯერ შეუძლებელიც, **უამრავი დრო იხარჯება ფუჭ ლაყბობაში** და, ყველაფერთან ერთად, **რთულდება მთავრობის ფორმირებაც**. ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორი სამთავრობო კრიზისია (ერთი თვეა უკვე!) დღეს ამერიკაში ორპარტიულობის(!) პირობებშიც კი — პრეზიდენტი ტრამპი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით იმუქრება (მეტი სიცხადისთვის უნდა განვმარტოთ, რომ ამერიკული ორპარტიულობაც, პრინციპში, პირობითია, რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის ძირითად საკითხებში არსებითი განსხვავება არც არის — მათი ქიშპობა მხოლოდ ძალაუფლებისთვის, სავარძლებისთვის ბრძოლაა და არა — უთანხმოება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში რევოლუცია-ამბოხებების მოწყობა-არმოწყობის, ურჩი მმართველების დამხობა-არდამხობის, მსოფლიოზე გაბატონება-არგაბატონების, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება-არდამყარების თაობაზე!). **პროცენტული ბარიერები მოფიქრებულია სწორედ იმიტომ, რომ სახელმწიფოსთვის პლურალისტულ პარლამენტზე მნიშვნელოვანი სტაბილურობაა ქვეყანაში!** სწორედ ამიტომაც არ აპირებს ამერიკა ორპარტიული სისტემის მრავალპარტიულით ჩანაცვლებას! ამასთან ერთად, ისიც უტყუარი ფაქტია, რომ 4-5 ან, თუნდაც, 10-15 პარტიისგან შემდგარ პარლამენტში გამოთქმული ბევრი აზრი (პლურალიზმი) სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობა აუცილებლად საუკეთესო წინადადებას დაუჭერს მხარს! **მნიშვნელობა აქვს არა პარტიების რაოდენობას და მოსაზრებათა სიმრავლეს, არამედ იმას, თუ რომელ პარტიას აქვს საპარლამენტო უმრავლესობა, ანუ ვის უპყრია ხელთ სახელმწიფოს მართვის სადავეები და რა პოლიტიკას ატარებს იგი!** მართვის თვალსაზრისით, საუკეთესო პირობები ჰქონდათ ნაცებს 2008-ში და ქოცებს — 2016-ში, როცა ორივენი საკონსტიტუციო(!) უმრავლესობას ფლობდნენ (79 და 76%-ს შესაბამისად), მაგრამ ამხელა ძალაუფლება ერთმაც და მეორემაც არა საკუთარი სამშობლოს, არამედ უცხო ქვეყნის (-ების) ინტერესების მსახურებას შეალია. „ქართული ოცნება“ (ივანიშვილი) ექვსი წელი არწმუნებდა ამერიკას — მეც თქვენი ერთგული ვარ, გეფიცებით ნაცებზე ნაკლებად თუ მოგემსახუროთო! და პირობაც ფრიადზე შეასრულა!

ერთი სიტყვით, დასკვნა ასეთია: **პროპორციული წესით არჩეული მრავალპარტიული პარლამენტის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი — სახელმწიფოს მართვის ეფექტურობა საგრძნობლად ქვეითდება და, შესაბამისად, მისი განვითარებაც ფერხდება!** ხოლო, რაც შეეხება ლამაზ-ლამაზ ტერმინოლოგიას, როგორებიცაა: **დემოკრატია, პლურალიზმი, პარლამენტარიზმი, დამოუკიდებელი სასამართლო, ე.წ.მეოთხე ხელისუფლება ანუ ასევე ე.წ. თავისუფალი მასმედია, — ყველაფერი ეს და კიდევ ბევრი სხვა, ხალხის გასაბითურებლად, მისი ადვილად სამართავადაა მოფიქრებული!**

ახლა, რაც შეეხება 2020 წლის სავარაუდო საპარლამენტო შემადგენლობას — ზემოთ ჩამოთვლილი წინასაარჩევნო პირობების შესრულების შემთხვევაშიც კი, დღევანდელი ლიდერების წინამძღოლობით შეკავშირებული ოპოზიციური ძალებისთვის (ვუწოდოთ მათ პირობითად „პატრიოტთა კოალიცია“) ძნელი იქნება გამარჯვება — პირველ ადგილზე გასვლა, მაგრამ მაინც ჩვენთვის უკეთესი, ეს ვარიანტი განვიხილოთ. ქოცებზე და ნაცებზე მეტი ხმების მიღება დიდზე დიდი გამარჯვება იქნება, ოღონდ რეალობის ზღვარს ძალიან ნუ გავცდებით და ვაღიაროთ, რომ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტის მიმხრობა ამ ეტაპზე არ მოხერხდება. **ერთ პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფი „ნაცმოძრაობა“** (ბარამიძე, ვაშაძე, მელია, კირკიტაძე, წიკლაური, კუბლაშვილი და ძმანი მისნი) **და „ევროპული საქართველო“** (ბოკერია, უგულავა, ბაქრაძე, გოგორიშვილი,ნადირაშვილი, ჭიაბერაშვილი და ძმანი მათნი), **და მათთან კოჰაბიტირებული „დასავლური იდეოლოგიით გაჟღენთილი“ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული შემადგენლობა** (მურუსიძე-ჩინჩალაძეების მხარდამჭერნი — კობახიძე, მდინარაძე, თალაკვაძე, ზარდიაშვილი და ძმანი მათნი) **კი, ერთობლივად, ულაპარაკოდ გადალახავენ 50%-იან ზღვარს**. ჰოდა, არც ისე ძნელი სავარაუდოა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ასეთ პარლამენტში. იქნება დიდი ჯახი, ყაყანი, გაწევ-გამოწევაც, მაგრამ ქოც-ნაცები მაინც თავისას (ანუ სხვისას!) გაიტანენ. ჩნდება კითხვა: თუკი, არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, უმრავლესობის არმქონე „პატრიოტთა კოალიცია“ კარდინალურ ცვლილებებს ვერ განახორციელებს — საჭირო კანონებს ვერ მიიღებს და უკვე მიღებულებიდანაც ვერ გააუქმებს ვერც ერთს (ქოც-ნაცების უმრავლესობა ადვილად ჩააგდებს ნებისმიერ, მისთვის ანუ დასავლეთისთვის არასასურველ კანონპროექტს), მაშინ „ბოლშევიზმის“ პრინციპებით მომუშავე პარლამენტში 10 დეპუტატით იქნები წარმოდგენილი, თუ — 50-ით, ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ექნება! და, სამწუხაროდ, მოგვიწევს ისევ იმ, მოუსავლეთში მიმავალ გზაზე სიარული, რომელზედაც აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, დაგვაყენეს და, ახალ გზაზე გადასვლის უფლებას არც სხვა გვაძლევს და არც — იმ სხვაგან გამოზრდილ-დაპროგრამებული და დაშინებული ჩვენიანი!

**მაშ სადაა გამოსავალი?** როდემდე უნდა ვიყოთ ყოველი მომდევნო არჩევნების იმედზე? გამოსავალი ერთადერთია — **ჩვენისთანა პატარა, მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფ სახელმწიფოს მხოლოდ ერთპიროვნული მმართველობა თუ გადაარჩენს, მხოლოდ ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოსნაირი „დიქტატორი“ თუ უშველის,** რომელსაც დასავლეთის მედიაში „მეძავი ჟურნალისტები“ (ანუ ფულზე გაყიდულები) და პოლიტიკოსებიც „ევროპის უკანასკნელ დიქტატორს“ ეძახდნენ გაპრეზიდენტების დღიდან, მადლიერმა ბელარუსმა ხალხმა კი სახელმწიფოში ადამიანური პირობების შექმნისთვის, ეკონომიკაში წარმატებებისთვის, წესრიგის დამყარებისთვის და სანიმუშო სისუფთავისთვის სოფლად თუ ქალაქად, პატივისცემის ნიშნად მას **„ბატკა“** (მამა) შეარქვა! არადა, როდესაც ლუკაშენკო ბელარუსის პრეზიდენტი გახდა 1994 წელს (80%-იანი მხარდაჭერით), ქვეყანა უფსკრულის პირას იყო მისული — წარმოება, სოფლის მეურნეობა ჩავარდნილი, დახლები ცარიელი, კორუფცია, დანაშაული, ინფლაცია მაღალი, პური ერთ ღამეში 18-ჯერ(!) გაძვირდა... რუსეთთან კავშირების აღდგენით, რუსეთის „გულუხვად გაცემული დახმარებით“ (ამერიკის ეროვნული დაზვერვის დირექტორის — **ჯეიმს კლეპერის** მიერ კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშის თანახმად) და, რაღა თქმა უნდა, თავად ლუკაშენკოს მიერ სახელმწიფოს მართვის სადავეების ერთპიროვნულად ხელში აღებით (შესაბამისი რეფერენდუმების საფუძველზე!) და, რაც ყველაზე მთავარია, მხოლოდ საკუთარი (და არა — უცხო!) სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ნაბიჯების გადადგმის წყალობით (განსხვავებით, სააკაშვილისგან და ივანიშვილისგან!), ბელარუსი სანიმუშო ქვეყნად იქცა მთელ აღმოსავლეთ ევროპაში. ლუკაშენკომ გაუძლო დასავლეთის მუქარას, „დიქტატორის“ ძახილს, მისთვის და მისი გუნდის წევრებისთვის დაწესებულ სანქციებს და, მიუხედავად შიგნიდან ძირის გამოთხრის მრავალჯერადი მცდელობისა, მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნისა, მაინც არ მიყიდა უცხოელებს (მხოლოდ მან მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში!) არც მიწები, არც სტრატეგიული ობიექტები და, ფაქტობრივად, არაფერი, რაც დასავლეთს აინტერესებდა, ყველაფერი თავის ხალხს შეუნარჩუნა, მის საკუთრებაში დატოვა (როგორ არ შეგეკუმშება გული, როცა ჩვენი „დემოკრატი“ და „ლიბერასტი“ ხელისუფლებების ნამოქმედარს გადაავლებ თვალს)! **დარწმუნებული ვარ, ნავთობის ისეთივე მარაგები რომ გააჩნდეს ბელარუსს, როგორიც ლიბიას, ლუკაშენკოც, კადაფის მსგავსად, კიდევ უკეთესად აცხოვრებდა კომუნიზმში თავის ხალხს!**

ლუკაშენკოსნაირი ქართველი „დიქტატორი“, რომელსაც ისევე გაყვება ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც 2004-ში გაყვა სააკაშვილს და 2012-ში — ივანიშვილს, სანთლით არის საძებნი, თან, დიდი სიფრთხილეც გვმართებს — **იმედგაცრუება არ გაგვისამდეს(!), საქართველოს ინტერესების დამცველის ნაცვლად ამჯერადაც ამერიკის ინტერესების გამტარებელი არ შემოგვატყუონ ლიდერად!** ვიმეორებ, — დიდი სიფრთხილე, ვინაიდან, აბა ვინ იფიქრებდა 2012 წელს, რომ ივანიშვილიც დასავლეთის ასეთი „ერთგული მსახური“ იქნებოდა?!

ლიდერის გადამწყვეტი როლი (ნებისმიერ ბრძოლაში!) ერთპიროვნული ხელმძღვანელობის აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს, სახელმწიფოს მართვის ეფექტურობის თვალსაზრისით მას ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა სისტემა, მით უფრო, — არასტაბილურობით გამორჩეული მრავალპარტიული პარლამენტი. **არჩევნები და პარლამენტი მხოლოდ მაშინ შეიძენენ აზრს, ამ გზით მხოლოდ მაშინ მივაღწევთ სასურველ შედეგს, როდესაც ხალხს ჭეშმარიტი ლიდერი — მამულისთვის, ერისთვის და სარწმუნოებისთვის თავგადადებული ეროვნული გმირი ჩაუდგება სათავეში! სხვანაირად, განწირულები ვართ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს, უნდა აქტიურად ვეძიოთ ასეთი ლიდერი და დაე, უძახონ შემდეგ მასაც „დიქტატორი“!**

**„ეძიებდე და ჰპოვებდე!“**



**იაკობ ლეჟავა,**

**20 იანვარი, 2019 წელი.**

## P. S.

**ზემოთქმული** არ ნიშნავს იმას, რომ ხელები ჩამოვუშვათ და ველოდოთ ლიდერის გამოჩენას, ლიდერის მოსვლასაც და გადამწყვეტ დაპირისპირებასაც ნიადაგის შემზადება სჭირდება! ამისთვის კი აუცილებელია რაც შეიძლება მეტი ღირსეული ადამიანი გავიყვანოთ 2020 წლის პარლამენტში, რომელიც აუცილებლად პროპორციული პრინციპით უნდა დაკომპლექტდეს. ბევრი (და არა, — რამდენიმე!) პატრიოტი დეპუტატის ყოველ შემთხვევაში (უმცირესობის პირობებშიც!) პარლამენტის სხდომებზე გაჩაღებული მწვავე დისკუსიების შემყურე ხალხს გამარჯვების იმედი მიეცემა, დარაზმვა გაუადვილდება და საყოველთაო საპროტესტო გამოსვლებით ხელისუფლების იძულება დაემორჩილოს მის ნებას — უარი თქვას ქართველი ერისთვის მიუღებელ, დამღუპველ პოლიტიკაზე!

მხოლოდ განრისხებული ხალხის ეშინია ყველა ხელისუფლებას!

**ი. ლ.**

# ᲝᲓᲔᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲒᲕᲢᲙᲘᲕᲐ

*ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲐ ᲓᲦᲔᲡ,*
*ᲐᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲚᲔᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲮᲕᲘᲓᲔ,*
*ᲐᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲮᲠᲩᲝ*

რა განასხვავებს ჩეხოვს თავის პერსონაჟთაგან? რასაკვირველია, მწერლისა და ადამიანის ოპტიმიზმი. „თუ ავტორი წარმოსახავს ფსიქიკურად ავადმყოფს, ეს სულაც იმას არ ნიშნავს, რომ ის თვითონაც ავადმყოფია“, – წერდა ჩეხოვი.

ცნობილი ამბავია, რა იმედგაცრუებულნიც რჩებიან ხელმოცარულნი შემოქმედნი. ალექსანდრიისკის თეატრში „თოლიას“ ჩავარდნის შემდეგ ჩეხოვი წერდა: „პიესამ ტყაპანი გაადინა და ჩაფლავდა. თეატრში იყო შეცბუნებისა და შერცხვენის მძიმე დაძაბულობა. მსახიობები საზიზღრად, ქარაფშუტულად თამაშობდნენ. აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ პიესების წერა არა ღირს. თუმცა მე მაინც ცოცხალი ვარ, ჯანს არ ვუჩივი და არც კეთილმოწყალეობა მაკლია“. და განაგრძობდა კალამგანუხრელ მუშაობას!

თავის ნაღვლიანობას მოგზაურობით კურნავდა. მთელი რუსეთი მოიარა რა, ახლა ევროპისკენ გასწია. ეწვია ვენას, ბოლონიას, ვენეციას, ფლორენციას, რომს, გენუას, ნეაპოლს, მონტე-კარლოს და პარიზს. მერე გეზი აზიისკენ აიღო. მოინახულა ცეილონი, ჰონკონგი და სინგაპური. აპირებდა იაპონიაშიც წასვლას. ევროპაში ყოფნისას ანტონმა მონტე-კარლოში თითქმის 200 ფრანკი წააგო რულეტში. როგორ ფიქრობთ, ტრაგედია მოჰყვა ამ ამბავს? აი, რას წერდა თვითონ: „თამაში დავიწყე 5 საათზე, 10 საათისთვის კი ჯიბეში უკვე ერთი რა არის, ერთი ფრანკიც კი აღარ მეგდო, და მხოლოდ ერთი რამღა დამრჩა: იმ აზრისგან კმაყოფილება, რომ ნიცაში დასაბრუნებელი ბილეთი უკვე ნაყიდი მქონდა. აი, რა დღეში ჩავვარდი, ბატონებო! ალბათ, იტყვით: „რა საძაგლობაა! ჩვენ უბედურ დღეში ვართ, ეგ კი დგას და რულეტს თამაშობსო!“ იტყვით და მართალნიც იქნებით, და უფლებას გაძლევთ, რომ დამკლათ, მაგრამ პირადად მე ჩემი თავის ძალიან კმაყოფილი ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შვილიშვილებისთვის იმის თქმა შემიძლია, რულეტი მითამაშია და კარგად ვიცნობ იმ გრძნობას, რასაც ეს თამაში აღძრავს-მეთქი“.

ჩეხოვი მარკების კოლექციას აგროვებდა, სუყოველ თავის წერილს ინახავდა, მაგრამ შინ ბიბლიოთეკის ქონა მაინცდამაინც არ იზიდავდა, მხოლოდ ის წიგნები ჰქონდა ხელსატაცად, რომელთაც მუდმივად კითხულობდა და ერთი-ორი რარიტეტი: „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. პირველი გამოცემა, რომელიც პრაქტიკულად დაკარგული იყო 1812 წლის მოსკოვის ხანძრის დროს და 1818 წელს გამოცემული ნ. კარამზინის „ისტორია რუსეთის სახელმწიფოსი“. სამაგიეროდ, თავისი მშობლიური ტაგანროგის ბიბლიოთეკას 2 ათას ტომზე მეტი შეუგროვა, რომელთა შორის იყო სოფოკლეს, ესქილეს, ევრიპიდეს თხზულებანი. აგრეთვე, ივან ბუნინის, მაქსიმ გორკის, ვლადიმერ კოროლენკოს წიგნები... ბოლო ამანათი ბიბლიოთეკამ მწერლის გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე მიიღო.

ჩეხოვი სიცოცხლის ტრფიალი იყო, უყვარდა რგვა, შენება, ქმნა, მოსავლის მოყვანა. მოსკოვის ახლოისად ბაღში 60 ძირი ალუბალი, 80 ძირი ვაშლი და 100 იასამნის ბუჩქი დარგო, მერე გაჩნდნენ არყის ხეები, ნაძვები, ბერლინური ალვები და ცხრატყავები. მაგრამ უპირატესობას მაინც ვარდებს ანიჭებდა. ხანისად მგონიაო, ამბობდა, თუ არა მწერლობა, მებაღე გამოვიდოდიო.

დიდი სიყმილის ჟამს, ჩეხოვი რამდენჯერმე ჩავიდა ნიჟეგოროდისა და ვორონეჟის გუბერნიებში, რათა შემოწირულობანი შეეგროვებინა მშიერთათვის, ხოლო ქოლერის ეპიდემიის დროს, რუსეთის შუა ზოლში რომ მძვინვარებდა, სანიტარიულ ექიმად მუშაობდა, ყურადღებას არ აკლებდა მინდობილ 25 სოფელს, 4 ფაბრიკას და მონასტერს, აგებდა საქოლერო ბარაკებს. თავისი სახსრებით მელიხოვში სამი სკოლა ააშენა გლეხობის ბავშვებისთვის და აგრეთვე ერთიც სამრეკლო.

ჭლექშეყრილ ანტონს ერთხელაც არ დაუჩივლია თავისი ჯანმრთელობის თაობაზე, ყველაზე მძიმე წუთებშიც კი თავი ისე ეჭირა, ვითომც არაფერი არ ხდებოდა იმის თავს. ძმის სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ანტონის ძმა მიხეილი წერდა: „ის უბრალოდ შემჩნევითაც კი არ იმჩნევდა, რომ უკვე ცუდად იყო. ჩვენი შეცბუნებისა ეშინოდა... მე ერთხელ ჩემი თვალით ვნახე სისხლიანი ნახველი. როცა ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი, თავისივე დაუდევრობამ შეაშინა, სწრაფად გადაწმინდა ნახველი და მითხრა: არაფერია, მამას და დედაჩემს ნუ ეტყვიო“.

ახლობლებისთვის საშინელება იყო სულამომდინარი ანტონის ცქერა. ის კი გულხელდაკრეფილი არ ელოდა სიკვდილს, სხვებისთვის დახმარების ხელის გაწვდენას ცდილობდა, ხელმოკლეთათვის სანატორიუმის აშენებაში იღებდა მონაწილეობას და რაც შეეძლო, ზრუნვას არ აკლებდა იალტაში სამკურნალოდ ჩასულ ავადმყოფთ.

* * *

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ამბობენ, სოლომონს უდიდესი შეცდომა მოუვიდა, როცა სიბრძნე ითხოვა.

* * *

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ რაც უფრო კულტურულია, მით უფრო უბედურია.

* * *

ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐᲓ ყოფნა ბევრად სჯობს ჯალათად ყოფნას.

* * *

ᲛᲔ არ ჩამიდენია ბოროტება იმ ძალის მიმართ, პირიქით, მან ჩაიდინა ჩემ მომართ.

* * *

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ უყვარს ლაპარაკი თავის დაავადებებზე, არადა, ეს ყველაზე უფრო ნაკლებ საგულისყუროა იმის ცხოვრებაში.

* * *



„ყველაფერი იციან და ყველაფერი გაეგებათ მხოლოდ სულელებს და თაღლითებს“

ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲩᲔᲮᲝᲕᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲐᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲔᲠᲗᲘ ტკივილი ყოველთვის ამცირებს მეორეს, მიდით, აბა, კუდზე ფეხი დაადგით კბილებმტკივან კატას, ეგრევე ცოტა შვებას იგრძნობს.

* * *

ᲠᲐᲓ უნდოდა ჰამლეტს სიკვდილის შემდგომ აჩრდილებზე გადაყოლა, როს ცხოვრებას ბევრად უფრო უსაშინლესნი აჩრდილნი არიან ადევნებულნი?!

* * *

ᲝᲓᲔᲡ ხიწვი თითში გერჭობა, გიხაროდენ – „კიდევ კარგი, თვალში არ შეგერჭო!“

* * *

ᲐᲠᲐ ღირს ადამიანებისთვის გაგიჟებაში ხელის შეშლა.

* * *

„ᲨᲔᲘᲪᲐᲜ თავი შენი“ – მშვენიერი და სასარგებლო რჩევაა, დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ძველებმა იმ ხერხის სწავლება ვერ მოიფიქრეს, როგორ უნდა გვესარგებლა ამ რჩევით.

* * *

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, არსებითად, სრულიად უბრალო რამ არის, და ძალიან ბევრი ძალისხმევა სჭირდება ადამიანს, რომ ის გააფუჭოს და წაახდინოს.

* * *

ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რათა შენს თავში განუწყვეტლივ გრძნობდე ბედნიერებას, თვით დარდისა და ურვის ჟამსაც კი, საჭიროა: ა) უნდა შეგეძლოს აწმყოთი კმაყოფილება; ბ) იმის შეგნების სიხარული, რომ ვაითუ უარესიც მომხდარიყო.



* * *

ᲡᲐᲥᲛᲔ არც პესიმიზმია და არც ოპტიმიზმი, საქმე ის არის, რომ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტს ჭკუა არა აქვს.

* * *

ᲐᲠᲪᲕᲘᲡ არ უნდა, რომ ჩემში თუ შენში ჩვეულებრივი ადამიანი უყვარდეს.

* * *

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲜᲘ და ნორმალურნი მხოლოდ არაფრით გამორჩეულნი და ჯოგური ადამიანები არიან.

* * *

ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲪ კი სასიამოვნოა, თუ იცი, რომ არიან ისეთი ადამიანები, შენს გამოჯანმრთელობას დღესასწაულივით რომ ელოდებიან.

* * *

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ტანჯვის მასხრად აგდება უპატივცემული საქმეა.

* * *

ᲛᲠᲬᲐᲛᲡᲐᲛᲓᲔ მისვლა მხოლოდ პირადი გამოცდილებისა და ტანჯვა-წვალების გზით შეგიძლია.

* * *

ᲘᲥ კარგია, სადაც ჩვენ არა ვართ: წარსულში ჩვენ უკვე აღარა ვართ და, აკი მშვენიერი გვგონია.

* * *

ᲑᲣᲖᲘ ბალახსა ჭამს, ჟანგი – რკინას, სიცრუე, ანუ ოღალო, სიცრუით მოგონებული რამ – სულს.

* * *

ᲗᲣ რომელიმე სნების წინააღმდეგ ძალიან ბევრ რასმე საშუალებას გვთავაზობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ სნება განუკურნებელია.

* * *

ᲒᲐᲜᲐ ჯანმრთელობა სასწაული არ არის?

* * *

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ საშინელებაა, მაგრამ კიდევ უფრო ბევრად მეტი საშინელება იქნებოდა იმის შეგნება, რომ მარადიულად იცოცხლებ და არასოდეს არ მოკვდები.

* * *

ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲜᲘ ეგოისტნი, ბოროტნი, უსამართლონი, სასტიკნი და არანაკლებ, ვიდრე უგუნურნი, უუნარონი არიან ურთიერთგაგებაში. უბედურება კი არ აერთიანებს, არამედ ერთმანეთისგან თიშავს ადამიანებს.

* * *

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ კაცის კარებს უკან ვინმე ჩაქუჩიანი უნდა იდგეს, მუდმივად უნდა აკაკუნებდეს და ახსენებდეს, რომ ამქვეყნად უბედურნიც არიან და არცთუ ხანგრძლივი ბედნიერების შემდეგ უბედურება მოდის.

* * *

ᲐᲠᲐᲧᲘ თეთრია, მაგრამ ცხვირს აწითლებს და სახელს, აბრუს აშავებს.

* * *

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ სიმშვიდე და კმაყოფილება იმის გარეთ კი არა, თვითონ მასშივეა.

* * *

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ დათხოვნას ისევე მიუდექით, როგორც ატმოსფერულ მოვლენას.

* * *

ᲨᲔᲜ ხშირად შემომჩიოდი, რა ვქნა, ვერ მიგებენო! ამაზე თვით გოეთე და ნიუტონიც კი არ ჩიოდნენ... ჩიოდა მარტოოდენ ქრისტე, ოღონდ იმას თავისი „მე“ კი არა ჰქონდა მხედველობაში, არამედ თავისი მოძღვრება... შენ კი ჩინებულად გიგებენ... უკეთუ შენ თვითონ შენი თავისა არ გესმის, ეს სულაც სხვათა ბრალი არ არის.

* * *

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ სიკვდილის წინ საშინლად იტანჯებოდა, საცოდავი ჰაინე რამდენიმე წელიწადს ლოგინად იყო ჩავარდნილი წვეთდაცემული; რატომ არ შეიძლება, რომ ავად გახდნენ მავანი ანდრეი ანდა მატრენა, რომელთა ცხოვრებაც უშინაარსოა და სრულიად ფუჭი და ამების ცხოვრების მსგავსი იქნებოდა, თუკი არ დაიტანჯებოდნენ.

* * *

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ძალიან უბრალოა! საჭიროა ძალიან დიდი მცდელობა, რათა გაართულო!

* * *

ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ 25-50 ათასი აქვს, მაგრამ მაინც ტყვია დაიხალა გაჭირვებისგან.

* * *

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ კაცმა მილიონი მარკა დააგროვა, ზედ დაწვა და შუბლი გაიხვრიტა.

* * *

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ შესაგრძნობად ჩვეულებრივ იმდენი დროა საჭირო, რამდენიც საათის დაქოქვას სჭირდება.

* * *

ᲪᲝᲚᲘ ქვითინებდა, ქმარმა მხრებში წაავლო ხელები, შეანჯღრია და ქალმა შეწყვიტა ტირილი.

* * *

ᲨᲔᲜ, ჩემო თავო ჩაუქო, კიდევ დიდხანს მომიწევს შენი ზიდვა?

**(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)**

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №263-265 (2018 ᲬᲔᲚᲘ)
ᲘᲮ. №1-2, 6-11 (2019 ᲬᲔᲚᲘ)

## ენვერ ნიჟარაძე

# კაცი და საწუთროება

ათეული წლების მანძილზე შერისხული აცხოვრეს. არც დამცველი ჰყოლია ვინმე, არც მოსარჩლე, არც ხელის გამმართველი, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ დაკოდილი გული მკვლელი ხელისუფლებისკენ არაფრით არ მოიბრუნა.

მახსოვს 1970-იან წლებში მწერალთა კავშირის ერთმა პასუხისმგებელმა პირმა ჰკითხია, ჩემი და კიდევ ერთი თუ ორი პიროვნების თანდასწრებით:

— ბატონო კოლაუ! პარტიაში რატომ არ შეხვედით?

— აააჰ! — ლამის ღმუილი წამოსცდა მგოსანს და სახეზე ხელებაფარებულმა თითქოს შიშისგან უკან დაიხია.

ეს ისეთი მოულოდნელი და მძაფრი გამოხმაურება იყო დასმულ კითხვაზე, რომ მის სიგულწრფელეში მცირეოდენი ეჭვის შეტანაც კი შეუძლებელი იყო.

მერე ხელები დაუშვა და კბილებში გამოსცრა:

— რომელ პარტიაში, პაოლო და ტიციანი რომ დამიხვრიტა?

ტანში ჟრუანტელმა დამიარა და სული ყელში მომებჯინა.

— თქვენ რომ არ შეხვედით, ნაძირალებით აივსო პარტია, ნაძირალები კი ნაძირლურ საქმეებს სჩადიოდნენ!

— ეგ მათი უბედურებაა. გზაც იქით ჰქონიათ! — გაცხარებით წამოიძახა მგოსანმა და ოთახი დატოვა.

რა იყო ეს შემკითხველისგან, გამოწვევა თუ დაუკვირვებლობა, გადაწყვეტით ძნელი სათქმელია. ვფიქრობ, რომ ორივე ერთად: ცოტა გამოწვევა და მეტი დაუკვირვებლობა! ყოველ შემთხვევაში, რომ წარმოედგინა, რომ მოხუცი მგოსნის ასეთ მძაფრ გაღიზიანებას გამოიწვევდა, არა მგონია, მსგავსი რამ მისთვის საერთოდ ეკითხა.

როდესაც აღელვებული ცისფერყანწელი გავიდა, შემკითხველი მოგვიბრუნდა და შეწუხებულმა მითხრა:

— ამ ტკივილს რა მოუშუშებს კოლაუს, ან საქართველოს რა მოუშუშებს!

ასე იყო ეს ამბავი დანამდვილებით! ერთ სიტყვას არც ვუმატებ, არც ვაკლებ!

მტერი და მოწინააღმდეგე არ აკლდა კოლაუ ნადირაძეს, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც თვითონ იყო თაფლი და ხავერდი. ძალა და გაწვრთნილობა იმთავითვე მოსდევდა და როცა საქმე ადამიანურ ღირსებას ეხებოდა, მუშტით იცავდა საკუთარ თავს. თუმცა, როგორც ჩანს, უშიშროების სამსახურს ჯიქურ დასატაკებლად რაიმე ღია მიზეზს არ აძლევდა, თორემ, მოგეხსენებათ, არანაკლებ ძლიერი პიროვნებებიც გაუტეხიათ სუკის ჯურღმულებში. მის ადრინდელ, გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე (ალბათ, ასეთებიც არსებობენ), მე ხელი არ მიმიწვდება. რაც შეეხება გამოქვეყნებულთ, მათში შეუიარაღებელი თვალით ისეთი არაფერი ჩანს, რომ არსებულ წყობილებას დანგრევით ემუქრებოდეს, თუ არ ჩავთვლით სწორუპოვარ ლექსს „25 თებერვალი, 1921 წ.“, რომლის გამოქვეყნებამაც მგოსანს ბევრი ტკივილი აწვნევინა და, როგორც ვიცი, მადლობა არც მისი გამომქვეყნებლებისთვის გადაუხდიათ. **„თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი. ძილღვიძრად იყო ქალაქი ჩემი, საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი — ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი! მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს, ისევ წამების ჯვარი აგკიდეს, არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს! თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი. დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა, ეფინებოდა გმირების გვამებს — განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს და უძრავ იყო თებერვლის ღამე. თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი. იმ გზით, სად წინად ელავდნენ ხმლები, სად სამას გმირის დაიფშვნა ძვლები, სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი, მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი, სად, გმირთა სისხლით ნაპოხიერი, თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, — წითელი დროშით, მოღერილ ყელით; თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით შემოდიოდა სიკვდილი ცელით! თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.“**

1969 წლის 25 თებერვალს დაწერილი და თექვსმეტი წლის შემდეგ, 1985 წელს გამოქვეყნებული ეს ლექსი ნამდვილად იმსახურებს ყველა მომავალ ქართულ მგოსნურ რჩეულ კონაში შეტანას. ეს განსაკუთრებული მგრძნობელობის, სიმძაფრისა და საგოდისო დატვირთვის მქონე მგოსნური ნაწარმოები არის „ფრთებდალეწილი“ მგოსნის ულმობელი შურისძიება ჯოჯოხეთურ დროზე. ყოველივე იმაზე, რასაც რევოლუცია და 1921 წელი ერქვა საქართველოში. ეს გახლავთ ქართველი მგოსნის მიერ გამოტანილი განაჩენი საბჭოთა ხელისუფლების ნაღვაწ-ნაგრამისთვის. განაჩენი, რომელმაც საზოგადოების ერთ, გაქსუებულ, ნაწილს ძილი დაუფრთხო, მეორე, ჩაგრულ, ნაწილს კი შვება მოჰგვარა და გული მადლიერების გრძნობით აღუვსო.

ოთხი ათეული წლის წინათ ასეთი ლექსისთვის კოლაუ ნადირაძეს წამებით სიკვდილი არ ასცდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ დროს წითელ ურჩხულს ბრჭყალები უკვე მოცვეთილი ჰქონდა და აღარც



**რაჟდენ გვეტაძე** — მწერალი, პოეტი, **ნინო მაყაშვილი** — ტიციან ტაბიძის მეუღლე; **ტიციან ტაბიძე** — სიმბოლისტი პოეტი, მწერალი, „ცისფერყანწელთა“ მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი; **კოლაუ ნადირაძე** — პოეტი, მწერალი, ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფის აქტიური წევრი; **ვალერიან გაფრინდაშვილი** — პოეტი, „ცისფერყანწელების“ ერთ-ერთი ლიდერი.

კბილები უჭრიდა ძველებურად. ამგვარად, მგოსანი დაპატიმრებას გადაურჩა, რაშიც მას მოხუცებულობაც შეეშველა.

ის, რაზეც სხვა იგავურად და მოარულად წერდა (თუკი ვინმე საერთოდ წერდა), მან თავისი ლექსის მთავარ საგნად აქცია. თანდათან, რუდუნებით, უიკლიბიკლოდ და უიწილბიწილოდ გადმოშალა მკაცრი სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. მაგრამ ეს სიმართლე პირდაპირ კი არ მოგვახალა სახეში, არამედ ისეთ ნაზმგოსნურ-მინიშნებით სამოსელში გახვია, რომ ასგზის უფრო შთამბეჭდავი გახადა.

სიმბოლისტი შემოქმედის გრძნეული კალმით გვიხატავს მგოსანი საქართველოს ერთი შავბნელი ღამის სურათს.

არა დღეს, არამედ ღამეს.

ეს ღამე გახლავთ სიმბოლო წითელი რევოლუციის შავი არსისა!

მთელი ლექსი აღსავსეა მგოსნური სიმბოლოებით.

აი, თოვლი, რომელიც მისამღერ-საგოდებელივით გასდევს ლექსს. აქ თოვლი სიწმინდის სიმბოლოა და სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა სპეტაკ ხსოვნას უკავშირდება. უკავშირდება წითელ არმიასთან უთანასწორო ბრძოლაში კოჯორთან დაღუპული ჭაბუკი მხედრის და 19 წლის მედდის მარო მაყაშვილის ხსოვნასაც, რომლებიც შემდეგ სამხედრო ტაძრის ეზოში დაიმარხნენ. სწორედ იმ სამხედრო ტაძრის ადგილას, დაღუპულთა ძვლებზე აღმართა შემდგომში საბჭოთა ხელისუფლებამ მთავრობის სასახლე და სამუდამოდ შეურაცხყო წამებულნი, თითქოს ისინი ვიღაც გადამთიელები იყვნენ და არა პირტიტველა ქართველი ახალგაზრდები.

არსად, არცერთ ლექსში, თვით ყველაზე სიმბოლისტურშიც კი, არ გამოუყენებია მგოსანს ამდენი მგოსნური სიმბოლო და არსად, არცერთ სიმბოლოს არ ჰქონია ასეთი ღრმა დატვირთვა, არ ყოფილა ასეთი სიმძაფრის მატარებლი. თუ წმინდა სიმბოლისტურ ლექსში სიტყვა-სიმბოლოს მიღმა ესა თუ ის ცნება ან საგანი მოიაზრება, ამ ლექსში ისეთ მგოსნურ სიმბოლოებში, როგორიცაა: სიჩუმე, სიონი, თეთრი ცხენი, სიკვდილი ცელით, და სხვა, მთელი განვლილი წითელი ხანაა ჩაწნეხილი, როგორც საშინელი სინამდვილე. ქართულ მგოსნებაში იშვიათია ლექსი, რომლიდანაც შემოქმედის განწყობა ასე მთლიანად, ასე მძაფრად გადაედება წამკითხველსაც.

მდუმარება, რომელიც თოვლთან ერთად მთელ ლექსს ბოლომდე გასდევს, სულისგამყინავ, შემაძრწუნებელ საგოდებელს უკიდურესად ამძაფრებს და ბევრად უფრო მეტყველია, ვიდრე მქუხარე ქვემეხი ან მოკაკანე ტყვიამფრქვევი.

ეს, ლექსი, როგორც ითქვა, მგოსნის შურისძიებაა მისი მეგობრების — პაოლოსა და ტიციანის ულმერთო განადგურების გამო. „დალეწილი ფრთების“ გამო, რომლის შესახებაც ის თერთმეტი წლით ადრე წერდა: **„დიდების კარებს ჩვენ ვინ გაგვიღებს! ბედის განაჩენს ამაყად ვხვდებით, მაგრამ სამშობლო მაინც მიგვიღებს მომღერალ გედებს დალეწილ ფრთებით (პაოლო იაშვილს).“**

„დალეწილ ფრთებს“, ვით წინასწარმეტყველებას, მგოსანი ჯერ კიდევ 1920 წელს დაწერილ ლექსშიც — „გარდაუვალი პაემანი“ — ახსენებს.

ო, რა ნათელ, მიუწვდომელ სივრცეებს ეზიარა მეგობართა გაუხედნავი, მგოსნური ოცნება.

ო, რა მაღლა, რა დიდებულად ფრენდნენ ისინი მგოსნების ულრუბლო ცის ტატნობზე...

**„გაფრენა არის ისე ადვილი თუ კი გაბედავ და გაშლი მკლავებს“,** — ამბობს კოლაუ ნადირაძე 1927 წელს შეთხზულ, ცისფერყანწელი მეგობრის ივანე ყიფიანისადმი მიძღვნილ ლექსში „დილის სიმღერა“.

მაგრამ რაც უფრო მაღლიდან ვარდება ტყვიით მოცელილი ფრინველი დაბლა, მით უფრო დიდია „ფრთების დალეწვის“ ალბათობა.

მეგობრობის მომღერალია კოლაუ ნადირაძე. მეგობრების პატივისცემა მისთვის ლამის საწესჩვეულებო მსახურებად იქცა.

ავთანდილივით უერთგულა პაოლოს, ტიციანს, ვალერიანს. თითქმის ყველა საუკეთესო ლექსი მეგობრებისადმი აქვს მიძღვნილი. გავიხსენოთ თუნდაც მისი უჭკნობი ტაეპები **„წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა, წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა? წიწამურიდან საგურამომდე აშრიალებულ ფოთლების ზღვაა. ისევ დუდუნი ისმის არაგვის, ისევ ბიბინებს არაგვის ველი. ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოცელავს ცელით, ღამით ამოსულს და აყვავებულს ნიავს არაგვი დილამდე ელის. ჰეი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?! შენს სამას შვილზე ხომ არა დარდობ? — გყავდა და თითქოს არა გყოლია! შენი ჩქერების თეთრი შხეფები, — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია! ჰოი არაგვო, მიამბე მაინც შენს სამას რაინდს თუ რას უმღერდი, როგორ აღზარდე ქართულ ქოხებში და ქართულ აკვანს როგორ ურწევდი! ჰოი, არაგვო, მაშინაც, ალბათ, ამავე სევდას მოაქუხებდი! არავინ იყო ამბის მომტანი, არ გინათებდა გულს ალიონი, აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს“, არ გუგუნებდა ზარი სიონის, შენ დაგტიროდა მხოლოდ მოხუცი: — დამარცხებული ბაგრატიონი!..“ (წიწამურიდან საგურამომდე).**

ეს არაჩვეულებრივი, სულშიჩამწვდომი პწკარებიც მეგობარს, მასავით უდრეკ, დაუჩოქებელ პიროვნებას, საქართველოს უშიშარ მეცნიერს პავლე ინგოროყვას ეძღვნება...

კოლაუ ნადირაძის ბევრი ლექსი მთის წყაროსავით სუფთაა და გამჭვირვალე. მათში ნაკლებ გვხვდება ფარული, შიდა თუ ქვეშრეები. სამაგიეროდ, აღსავსეა მგოსნური სიმბოლოებით და იშვიათი გადამდები განწყობით. მგოსნის ფიქრი და განწყობა, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, „ბატონებივით“ გადამდებია და ასევე „ბატონებივით“, შემდგომშიც სათუთად გასახსენებელი.

პირდაპირ გასაოცარია, რომ მისდარი სათუთი სულის მგოსანს, მისდარი ნაზმგოსნური ტაეპების შემთხზველს, შეეძლო ბასრი და დაუნდობელი წკიპურტების — ფუნაგორიების წერა. თუნდაც მარტო ის ამბავი, რომ ამ სახის თხზულთა საერთო ქართული სახელწოდება: ფუნაგორია, კოლაუ ნადირაძეს ეკუთვნის, უკვე ნათლად წარმოაჩენს მგოსნის მახვილ თვალს და მიუღებელისა და საძრახისის გამათრახების ნიჭს. იმდენად შთამბეჭდავია მისი, როგორც „ფუნაგორისტის“, ხელოვნება, რომ შემდეგი დროის „ფუნაგორისტები“ მას უყოყმანოდ თავიანთ წინამძღოლად აღიარებდნენ და ფუნაგორიის „მაესტროდ“ მიიჩნევდნენ.

ეს შემდგომი დროის „ფუნაგორისტები“ ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ შემოკრებილი მწერლები იყვნენ, რომელთა წინამძღოლი, თვითონ დიდად წარმატებული „ფუნაგორისტი“ ლადო ასათიანი ორ გალექსილ წერილს წერს „მაესტროს“ სახელზე. მათგან ერთში, შემდეგი პწკარები გვხვდება: **„ყველა იძახის, კოლაუს ეს რა შვილები მაესწრო? ჩვენც გულით გეხმაურებით, ფუნაგორიის მაესტროვ! არ მომხდარიყოს, რომ ქვეყნად შენთვის სხვა ვინმეს გაესწროს. მრავალი შენი ძმაკაცი დასახმარებლად მიგელის, ზოგ-ზოგებისგან ჩაგრული, ასე ამბობდა მიქელი: დამეხმარევი, კოლაუ, ერთი სიკეთე მიქენი, კლასიკოს-გამომცემელნი განმიკიცხ-განმიქიქენი. სხვაც ბევრი არის საკბილო მანდ სასახლეში თუ გარეთ, გინდა შეგფიცოთ, კოლაუ, თუ სიტყვა გითხრათ მქუხარე: ერთად დავასხათ უხამსებს ამომთუთქავი მდუღარე, ზოგთან შენ თვითონ მიიჭერ და ცეცხლი გადაუყარე. კარგად ნათქვამი განქიქვა ხალხში დადის და გორაობს, ვიცით, მომხმარე გჭირდებათ, საქმე რომ დააბოლავოთ. ჩვენც გამოგყვებით, არ გაწყენს ასეთ შვილების ყოლაო, შენ გაგიმარჯოს, მხოლოდ შენ, ფუნაგორისტო კოლაუ!“**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11



**„ამერიკულ წამოწყებათა ინსტიტუტის“ ახლო აღმოსავლეთის მკვლევარი მაიკლ რუბინი „ამერიკის ხმასთან“ ამერიკა-თურქეთის დაპირისპირებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ თურქეთი უფრო აგრესიული ქვეყანა გახდა, რუსეთი კი უთანხმოებით სარგებლობს. რუბინის თქმით, საქართველო ორ ცეცხლს შუაა მოქცეული იმის გამო, რომ ის ორივე ქვეყნის მოკავშირეა. იმაზე, თუ როგორ შეიძლება გაართვას თავი თბილისმა ნატოს ორი მოკავშირის უთანხმოებას, რუბინს ია მეურმიშვილი ესაუბრა.**

# ამერიკა-თურქეთის დაპირისპირების გამო საქართველო ორ ცეცხლს შორისაა მოქცეული



**— მაიკლ, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. სანამ დეტალებზე გადავალთ, როგორ შეაფასებდით ამერიკა-თურქეთის ურთიერთობას დღეს?**

— ამერიკა-თურქეთის ურთიერთობა ასეთი დაძაბული ჯერ არ ყოფილა. ერდოღანის მმართველობის საწყის ეტაპზე ვაშინგტონში ბევრს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ის თურქეთს ასე დააცილებდა დასავლეთს. მაგრამ დღეს ამაში ეჭვი აღარავის ეპარება და ვაშინგტონში ცდილობენ, შეცვლილ თურქეთს თავი გაართვან.

**— შეიძლება თუ არა ამერიკა-თურქეთის პარტნიორობის გადარჩენა? რამდენადაა ურთიერთობა დაზარალებული?**

— სწორედ ამ კითხვაზე მიდის ამჟამად დებატები. სხვა რომ არაფერი, თურქეთს ნატოში, ამერიკის შემდეგ, ზომით მეორე არმია ჰყავს. გარდა ამისა, ამერიკას ყოველთვის ჰქონდა თურქეთის იმედი ბაზების გამოყენების თვალსაზრისით, მაგალითად, ინჩირლიკში. თუმცა, ამერიკა აქტიურად მუშაობს სათადარიგო გეგმაზე იმ შემთხვევისთვის, თუ თურქეთი, როგორც მოკავშირე, საბოლოოდ დაკარგა.

**— თქვენ ხედავთ იმის საფრთხეს, რომ თურქეთმა შეერთებულ შტატებს და ნატოს ინჩირლიკის ბაზის გამოყენებაზე ერთ დღეს უარი უთხრას?**

— თურქეთი არაერთხელ დაიმუქრა, რომ ამერიკას ბაზაზე წვდომას ჩამოართმევდა. სამწუხარო ისაა, რომ ის, რასაც ერდოღანი აქამდე მოლაპარაკების ტაქტიკად იყენებდა, ახლა ეროვნულ სენტიმენტად იქცა.

ვაშინგტონში გაიგებთ მოსაზრებას, რომ თურქეთი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერდოღანის მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ. თუმცა იმ ადამიანების რიცხვი იზრდება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერდოღანი გამომძალველივითაა — თუ მიიღებს რაც სურს, მაშინ, უბრალოდ, ახალ მოთხოვნებს წამოაყენებს.

**— როგორ ფიქრობთ, თურქეთი, როგორც ქვეყანა, შეიცვალა? ერდოღანი ხელისუფლებაში 2003 წელს მოვიდა. მას შემდეგ ვხედავთ, რამდენად შეიცვალა ის, როგორც მმართველი. თქვენი აზრით, ეს ცვლილება მხოლოდ ერდოღანმა განიცადა თუ თურქეთიც შეიცვალა, როგორც ქვეყანა?**

— რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ერთხელ თქვა, რომ სურს რელიგიური თაობა გაზარდოს. მაშინ ეს შესაძლოა მხოლოდ რიტორიკა იყო, მაგრამ ახლა — როცა ქვეყნის სათავეში უკვე 15 წელია დგას — ეს მხოლოდ რიტორიკა აღარაა. აქ საუბარია მთელ თაობაზე, სკოლის მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, რომლებიც მისი მმართველობის პირობებში გაიზარდნენ. ამასთან, ყველა ჯარისკაცი, რომელმაც ვიცე-პოლკოვნიკის რანგამდე მიაღწია, ერდოღანის ჯარში გაიზარდა. მგონი, უდავოა, რომ თურქეთი შეიცვალა. ახლა გასარკვევი ის არის, თუ რამდენად შორს წავა ეს ცვლილება.

**— რა სარგებლობას ნახულობს თურქეთი დასავლეთთან და განსაკუთრებით ამერიკასთან ასეთი დაძაბული ურთიერთობით — ამაში რაღაც დადებითი არის, ალბათ, ერდოღანისთვის?**

— თურქეთი საკმაოდ ნაციონალისტური ქვეყანაა და ერდოღანს არ უჭირს ნაციონალურ სენტიმენტებზე ხალხის გაერთიანება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანაში მთელს მედიაგარემოს აკონტროლებს. მეორე ფაქტორი ისაა, რომ წარსულში, როცა ერდოღანს მოთხოვნები სხვა ქვეყნების მიმართ ჰქონდა, ისინი ცდილობდნენ ანკარისთვის ანგარიში გაეწიათ. მან აღმოაჩინა, რომ რასაც ითხოვს, ეძლევა. ვაშინგტონში ეს ტენდენცია უნდა აღკვეთონ.

**— თქვენი აზრით, თურქეთსა და ამერიკას შორის დაძაბული ურთიერთობით რუსეთი სარგებლობს?**

— ცხადია, რუსეთი ამით სარგებლობს. პუტინი დიპლომატიას, როგორც წესი, ნულოვანი ჯამის თამაშის ჭრილში ხედავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ ამერიკამ წააგო, ეს რუსეთისთვის მოგება იქნება. 15 წლის წინათ თურქეთი ამერიკის განსაკუთრებული პარტნიორი იყო. დღეს ეს ასე აღარ არის და იმაზეც კი მიდის აქტიური დებატები, უნდა იყოს თუ არა თურქეთი ნატოს წევრი. ეს, რა თქმა უნდა, პუტინს ძალიან აწყობს.

**— რიტორიკით და დასავლეთთან მუდმივი დაპირისპირებით ჩნდება განცდა, რომ ერდოღანს საკუთარი თავი პუტინის თანატოლად მიაჩნია, რომ მასაც იგივე წონა აქვს საერთაშორისო არენაზე, როგორც პუტინს. თქვენი აზრით, პუტინი ერდოღანს თანასწორად აღიქვამს?**

— ვფიქრობ, ერდოღანს და პუტინს მიაჩნიათ, რომ მსოფლიოში წამყვანი ფიგურები არიან. თუმცა, პრობლემა ისაა, რომ პუტინს საკუთარი თავი არ მიაჩნია ერდოღანის თანასწორად. საქმე საქმეზე რომ მიდგება, პუტინი მართალი გამოდგება. მას გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვიდრე ერდოღანს და რუსეთი გაცილებით ძლიერი ქვეყანაა, ვიდრე თურქეთი.

**— რას ფიქრობთ, რა მოხდება რუსულ ეს-400-ებთან (სარაკეტო სისტემა) დაკავშირებით? თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ ანკარა ამერიკული „პატრიოტის“ ტიპის რაკეტების ყიდვას კვლავ ფიქრობს, მაგრამ ასევე აპირებს რუსული ეს-400-ების შესყიდვასაც. რა თამაშს თამაშობს თურქეთი? და სჭირდება თუ არა ანკარას სინამდვილეში ეს-400-ები?**

— ვფიქრობ ეს საკითხი გეოპოლიტიკას უფრო უკავშირდება, ვიდრე სტრატეგიულ საჭიროებებს. მოკლე პასუხია — არა, თურქეთს ეს-400-ები არ სჭირდება. მაგრამ ვფიქრობ, თურქეთს სურდა, ამერიკა და რუსეთი ერთმანეთის წინააღმდეგ ერთგვარ ტენდერში ჩაერთო. თუმცა, ერდოღანს ზედმეტი მოუვიდა და შედეგად ის მიიღო, რომ ამერიკა თურქეთს აღარ ენდობა. ეს-400-ებზე თურქეთს შეუძლია თქვას, რომ თავდაცვისთვის სჭირდება, მაგრამ ამერიკისთვის ეს სტრატეგიული უსაფრთხოების თემაა. თუ ეს-400-ების ნატოს სისტემაში ინტეგრაცია მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნატომ რუსეთს სამხედრო საიდუმლოებები უნდა გაუმხილოს იმისთვის, რომ ამ იარაღის თურქეთის თავდაცვის სისტემაში გაერთიანება მოხდეს. ეს არ მოხდება. თურქეთს შეუძლია თქვას, რომ ეს-400-ებს ნატოს სისტემებთან არ გააერთიანებს, თუმცა მაინც უნდა ამერიკული ეფ-35-ის ტიპის გამანადგურებლების მიღება, რომელიც მომავალი თაობის სამხედრო საიერიშო თვითმფრინავია. ეს სცენარიც მიუღებელია, რადგან რუს ინჟინრებს, რომლებიც თურქეთში განლაგებულ ეს-400-ებზე იმუშავებენ, შეეძლებათ თვალი ადევნონ ეფ-35-ებს და შეისწავლონ მათი მანევრები.

**— ამერიკამ შეიძლება თქვას უარი თურქეთისთვის ეფ-35-ების გადაცემაზე?**

— 9-10 წლის წინათ პირველად დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ამერიკას თურქეთისთვის ეს თვითმფრინავები არ გადაეცა, მაგრამ ეს თემა სერიოზული განხილვის საგანი ბოლო 2-3 წლის განმავლობაში გახდა. შეერთებულმა შტატებმა ეფ-25-ების ერთი ნაწილი უკვე გადასცა თურქეთს, მაგრამ ეს ტრანსფერი ამერიკაში საწვრთნელად ჩამოსულ პილოტებზე მოხდა და თვითმფრინავები თურქეთში ჯერ არ გაგზავნილა. პილოტების მოსამზადებლად, დაახლოებით, 2 წელია საჭირო. ეს პერიოდი ჯერ არ გასულა.

**— ამერიკა და თურქეთი საქართველოს ახლო პარტნიორი ქვეყნები არიან. შეერთებული შტატები საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, თურქეთი კი ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და ასევე ახლო მოკავშირე. რა მდგომარეობას უქმნის ანკარასა და ვაშინგტონს შორის დაპირისპირება საქართველოს? როგორ უნდა გაართვას ამ პატარა ქვეყანამ თავი შექმნილ ვითარებას?**

— საქართველო ორ ცეცხლს შუაა მოქცეული. თურქეთი მეზობელი, შედარებით პატარა ქვეყნების მიმართ, უფრო აგრესიული გახდა საკუთარი მოთხოვნებით. საქართველომ უნდა გააკეთოს ის, რასაც აქამდეც ძალიან დიდი წარმატებით აკეთებდა. ვაშინგტონთან ახლო ურთიერთობის გამოყენებით, თურქეთსა და მოსკოვს უნდა უთხრას, რომ ამერიკასთან პარტნიორობის გამო, მათ ზოგიერთ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

სენატორ მაკკეინის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც საქართველოს ყველაზე დიდი მხარდამჭერი იყო ამერიკის კონგრესში, თბილისმა უნდა გააკეთოს ყველაფერი ამერიკის კონგრესში ორპარტიული მხარდაჭერის შესანარჩუნებლად.

**— ანკარასა და ვაშინგტონს შორის ამ დაძაბულობას შეიძლება თუ არა საქართველოსთვის უარყოფითი შედეგი მოჰყვეს — იქნება ეს ნატოში ინტეგრაცია თუ უბრალოდ წარმატებული ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარება?**

— მიუხედავად თურქეთთან დაძაბული ურთიერთობისა, არ მგონია, ამერიკის მხრიდან საქართველოსთან ორმხრივ ურთიერთობას რაიმე ზიანი მიადგეს. ვაშინგტონის გადმოსახედიდან, საქართველოს ირანთან დაახლოება უფრო სერიოზული საკითხი იქნება, ვიდრე თურქეთთან დაახლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ირანის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს დაარღვევს.

**— ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის გაფუჭების ფონზე, შეუძლია თუ არა საქართველოს შავი ზღვის რეგიონში ამერიკისთვის საკუთარი როლი გაზარდოს და ზოგიერთი ის ფუნქცია იტვირთოს, რასაც, მაგალითად, თურქეთი აკეთებს ახლა?**

— ვფიქრობ, საქართველოსთვის ეს ძალიან რთული იქნება რუსეთის ზეწოლის გამო. ამერიკა ბოლო პერიოდში რუმინეთს სამხედრო კუთხით მნიშვნელოვნად დაუახლოვდა. ჩემი აზრით, თუ თურქეთი შეერთებული შტატებისთვის ნაკლებად სანდო მოკავშირე გახდა, ამერიკის „გეგმა ნომერი 2“ რუმინეთში, იორდანიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ყოფნის გაზრდა არის. არ ვიცი, ამ ეტაპზე რამდენადაა ამერიკის კონგრესი მზად იმისთვის, რომ საქართველოსთან სამხედრო კავშირები არსებულზე მეტად გააღრმაოს და რუსეთი გააღიზიანოს, თუმცა საქართველოსთან ეკონომიკური და დიპლომატიური ჩართულობის გაზრდა მოსალოდნელია. აქვე უნდა ვთქვა, რომ მთელს რეგიონში არც ერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი რეპუტაცია და მხარდაჭერა, როგორც საქართველოს.

**„ამერიკის ხმა“**

## აშშ-ში ირანელი ჟურნალისტი გაათავისუფლეს



**ირანელი ჟურნალისტი მარზიე ხაშემი, რომელიც ამერიკაში 16 იანვარს დააკავეს, ბრალის წარდგენის გარეშე გაათავისუფლეს.**

**ინფორმაციას Press TV ჟურნალისტის ოჯახზე დაყრდნობით ავრცელებს. ხაშემი 23 იანვარს ვაშინგტონის სასამართლოში ჩვენების მიცემის შემდეგ გაათავისუფლეს, წერს Associated Press წყაროზე დაყრდნობით.**

**მარზიე ხაშემის დაკავების მიზეზად დასახელდა ის, რომ ჟურნალისტი „მნიშვნელოვანი მოწმეა“, თუმცა საქმის დეტალები არ გასაჯაროვებულა. მარზიე ხაშემი ირანის მთავრობის მიერ დაფინანსებული ტელეარხის Press TV-ს ტელეწამყვანი და ჟურნალისტია.**

# ამერიკული გემების აქტიურობა შავ ზღვაზე: მოსკოვი ვაშინგტონს აფრთხილებს



*„როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ნატოს მთავარი წევრის სტატუსით, რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი სამხედრო დაპირისპირების გამო, შავ ზღვაზე თავისი მუდმივი ყოფნა 2008 წლიდან უზრუნველყო. 2014 წლიდან აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთ-ნატოს შორის დაძაბულობის მატებასა და იმავე რეგიონში აშშ-ის სამხედრო ყოფნის ზრდასთან ერთად, პენტაგონმა შავ ზღვასაც მიაპყრო თვალი და მის აკვატორიაშიც ამერიკული სამხედრო გემების ცურვის სიხშირე მნიშვნელოვნად გაფართოვდა“ — ამის შესახებ ირანული გამოცემა, „Iran Russian Radio//Pars Today“ წერს.*

*საინფორმაციო-შემეცნებითი პორტალი NSP.GE გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას:*

აშშ-ის სამხედრო უწყების განცხადებით, შავ ზღვაში ამერიკული სამხედრო გემების ყოფნა განპირობებულია მოკავშირეებისათვის მხარდაჭერით, ანუ რუმინეთის, ბულგარეთისა და უკრაინის მიმართ. საყურადღებოა, რომ ვაშინგტონმა ოდესაში შექმნა საზღვაო ოპერაციების ცენტრიც, რომელმაც, თავის მხრივ, რუსეთის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია.

ამერიკა კიდევ უფრო გააქტიურდა ქერჩის სრუტეში უკრაინისა და რუსეთის გემებს შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ: 2019 წლის 6 იანვარს შავ ზღვაში შევიდა აშშ-ის დიდი საესკადრო ნაღმოსანი USS Fort McHenry.

ეს კიდევ არაფერი — ამ დღეებში პენტაგონმა შავ ზღვაში გაგზავნა კიდევ ერთი მსგავსი საესკადრო ნაღმოსანი USS Donald Cook, რითაც მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი ყოფნა აკვატორიაში. რუსეთი ამერიკის აქციას ზოგიერთი ქვეყნის შემაგულიანებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ პენტაგონის ასეთი მოქმედება რეგიონში არსებულ დაძაბულობას კიდევ უფრო გაამწვავებს. რა თქმა უნდა, თავის მხრივ რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის გემებმა შესაბამისი მონიტორინგი დაიწყეს აშშ-ის გემების მიმართ, მათი გადაადგილების კონტროლის მიზნით.

რუსეთის პოზიციის თანახმად, შავი ზღვის აკვატორიაში აშს-ის სამხედრო ხომალდების ყოფნა მის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება. მოსკოვმა ამის თაობაზე აშშ და ნატო არაერთხელ გააფრთხილა. რუსი სტრატეგოსების აზრით, შავ ზღვაზე აშშ-ის აქტიურობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აქტიურობის შემადგენელი ნაწილია რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან.

სწორედ ამიტომაც რუსეთის ახალ საზღვაო დოქტრინაში აქცენტი გადატანილია შავი ზღვის სამხედრო ფლოტის გაძლიერებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთი მზადაა, მიიღოს ამერიკის გამოწვევა და მას პასუხი გასცეს. მით უმეტეს, რომ მოსკოვის აზრით, შავი ზღვის მეშვეობით აშშ-სა და ნატოს კავკასიაში გავლენის განმტკიცებს სურს, სადაც, თავის მხრივ, რუსეთს სასიცოცხლო ინტერესები აქვს.

რუსეთის მკვეთრი და დაუყოვნებლივი რეაქცია შავ ზღვაზე ამერიკული ხომალდების გამოჩენასთან დაკავშირებით სრულიად გასაგებია. მოსკოვისათვის შავი ზღვის აკვატორია, განსაკუთრებით ყირიმი, მისი სამხედრო ფლოტის გემების დისლოკაციის ისტორიულ ადგილს წარმოადგენს. ამჟამად მოსკოვი დიდ ძალისხმევას ახმარს ფლოტის გაძლიერებას. შეიძლება, გარკვეული პროგნოზები გავაკეთოთ: შავი ზღვის მილიტარიზაცია და მის აკვატორიაში სხვადასხვა სამხედრო-საზღვაო ტექნიკის დისლოკაცია მიმდინარე ეტაპზე მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ერთგვარ შეჯიბრად გადაიქცა. სავარაუდოდ, უახლოეს დროში კონკურენციის არენაზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება, რის შედეგადაც შავი ზღვა სერიოზული კონფრონტაციის კერად გადაიქცევა.

**„Iran Radio“ (ირანი).**
**NSP.GE**

## სალოლ, მელორ ვაჩნაძე!

**არსებული ინფორმაციით, გერმანიაში ქართველი სამოქალაქო აქტივისტი მელორ ვაჩნაძე ფეხსაცმლის ქურდობისთვის დააკავეს.**

**ინფორმაციით, შემთხვევა დაახლოებით 10 დღის წინათ, გერმანიის ქალაქ კიოლნში მდებარე TK Maxx-ის მაღაზიაში მოხდა. ვაჩნაძემ 130-ევროიანი ფეხსაცმელი მოსინჯვის მიზნით ჩაიცვა, რა დროსაც მასზე მიმაგრებული ფასის კოდის სისტემა მოხსნა, საკუთარი ფეხსაცმელი მაღაზიაში დატოვა და შენობა ახალი ფეხსაცმლით, თანხის გადაუხდელად დატოვა.**

**აღნიშნული ფაქტი მაღაზიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა კამერებში დააფიქსირეს, ვაჩნაძე შეაჩერეს და პოლიცია გამოიძახეს. ქურდობის ფაქტზე ადგილობრივ პოლიციაში გამოძიება მიმდინარეობს.**



## მელორ ვაჩნაძის დაკავებას შსს ადასტურებს

**პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული მელორ ვაჩნაძის გერმანიაში დაკავებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ.**

**როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში უთხრეს, გერმანულმა მხარემ მელორ ვაჩნაძის დაკავების შესახებ მათ უკვე აცნობა, თუმცა შსს-ში არ ამბობენ, თუ რა ბრალდებით დააკავეს ვაჩნაძე.**



# დამწვარი სავაჭრო ცენტრის ადგილზე ისევ „ბავშვთა სამყარო“ აშენდება

**„ბავშვთა სამყაროს“ დაწვიდან ორი წლის შემდეგ, მისი დამფუძნებელი გიორგი მაჭავარიანი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მთავარი პროკურატურის მხრიდან გამოძიების დასრულების შემდგომ, სააქციო საზოგადოება „ბავშვთა სამყაროს“ აქციონერები თბილისს განახლებულ „ბავშვთა სამყაროს“ დაუბრუნებენ. ბიზნესმენის თქმით, სახელმწიფოს მხრიდან საგამოძიებო პროცესები ორი წლის განმავლობაში გრძელდება, თუმცა დამნაშავეების ვინაობა ამ დრომდე დაუდგენელია. სწორედ ამიტომ, ბიზნესმენს გამოძიების იმედი უკვე აღარ აქვს.**

რაც შეეხება ტერიტორიაზე ადგილობრივი, ან უცხოელი ინვესტორის შემოყვანას, გიორგი მაჭავარიანის თქმით, ადგილმდებარეობის დასაკუთრებაზე ამ დრომდე ინტერესი არავის გამოუთქვამს, ამიტომ „ბავშვთა სამყაროს“ აქციონერები თავად ააშენებენ.

**„აქციონერები უკვე ორი წელია გამოძიების დასრულებას ველოდებით. ჯერ გამოძიების დასრულება არ ხდება, ზუსტი მიზეზები არ ვიცი. დამნაშავეების ვინაობის დადგენის შემდგომ პროცესებიც დაიძვრება. მე მოქმედებას კვლავ გავაგრძელებ და „ბავშვთა სამყაროს“ აქციონერები ხელახლა ავაშენებთ ახალ „ბავშვთა სამყაროს“. დღეს გაკოტრებულები და დაზარალებულები ვართ, რადგან ამ ეტაპზე არანაირი ფულადი რესურსი არ გაგვაჩნია, თუმცა იმედია სამართლიანობა აღდგება.**

**როდესაც დასრულდება გამოძიება და პროექტის დამტკიცების უფლება მოგვეცემა, კვლავ სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს“ სახელწოდებით ავაშენებთ“, —** განუცხადა „კომერსანტს“ გიორგი მაჭავარიანმა.

დამნაშავეების ვინაობასთან დაკავშირებით ბიზნესმენს საკუთარი ვარაუდი აქვს. მისი აზრით, სავაჭრო ცენტრი პოლიტიკური მიზნებისთვის დაწვეს. გიორგი მაჭავარიანი ოპოზიციას, კერძოდ კი „ნაციონალურ მოძრაობას“ ადანაშაულებს. მისივე ვარაუდით, პარტიამ დაზარალებული საზოგადოება საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა.

**„ის მოვაჭრეები, ვინც „ბავშვთა სამყაროში“ ბიზნესს აწარმოებდნენ, ამჟამად სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ აქციებზე დადიან და სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს აპროტესტებენ. ამ ადამიანებს ოპოზიცია იყენებს“, —** აღნიშნა მაჭავარიანმა.

დაზარალებულების ადვოკატის მარიკა არევაძის განცხადებით, სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პროტესტის გამოხატვა არ ნიშნავს, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართულები არიან და ეს დაზარალებულების დისკრედიტაციის მცდელობაა. ეს ყველაფერი კი სავარაუდოდ ხდება იმიტომ, რომ სავაჭრო ცენტრს სურს, თავი აარიდოს დაზარალებულების წინაშე პასუხისმგებლობას და არ აუნაზღაუროს მათ ზარალი.

ადვოკატი საქმეში „ბავშვთა სამყაროს“ დამფუძნებლის და მერიის ბრალეულობაზეც საუბრობს.

**„გამოძიების შედეგად გამოვლენილია, რომ ბავშვთა სამყაროს სავაჭრო ცენტრში არ იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები დაცული, რის გამოც აქვს წაყენებული ბრალი სავაჭრო ცენტრის დირექტორს და საქმის განხილვა მიმდინარეობს სასამართლოში. იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო ცენტრის დირექტორს გიორგი მაჭავარიანს ბრალი დაუმტკიცდება, ჩვენ უკვე წავალთ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მიზნით.**

**ასევე, მოცემულ საქმეზე ჩვენ გვაქვს დავა თბილისის მერიასა და საკრებულოსთან, რომელიც სრულად მოვიგეთ პირველ ინსტანციაში; დაზარალებულებისათვის აზრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევის გამო კი იძულებულნი გავხდით, მიგვემართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის. ველოდებით სახალხო დამცველის დასკვნას და რაც მთავარია სასამართლოს. მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, ასევე რომ მიწა, სადაც იყო შენობა განთავსებული, ამჟამად დაყადაღებულია“, —** აღნიშნა არევაძემ.

„ბავშვთა სამყაროს“ დამფუძნებელი საუბრის ბოლოს სახელმწიფოს მიმართავს და ბიზნესის მეტი ხელშეწყობისკენ მოუწოდებს.

„ჩვენი ბიზნესი სახელმწიფოსთვის მომგებიანი იყო, რადგან წელიწადში კომპანიის მხრიდან ბიუჯეტში მილიონი ლარი შედიოდა. „ბავშვთა სამყაროს“ დაწვამ სახელმწიფოსაც მოუტანა ზარალი. სახელმწიფომ ქვეყანაში ბიზნესს ხელი უნდა შეუწყოს. სწორედ სახელმწიფომ სამართლის აღდგენით უნდა მოგვცეს საშუალება და ბავშვთა სამყარო ხელახლა შევქმნათ.

შეგახსენებთ, 2017 წელს სავაჭრო ცენტრი „ბავშვთა სამყარო“ დაიწვა. ამ საქმეზე ორი წელია, მიმდინარეობს გამოძიება. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით აღიძრა, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. გამოკითხული 849 პირიდან დაზარალებულად ცნობილია 695, თუმცა, ხანძრის გამომწვევი მიზეზი კვლავ უცნობია.

**ლიკა გურაბანიძე**

კარატე

# მდიდარი ნადავლით – ბაქოდან

**აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულ ახალგაზრდა კარატისტთა საერთაშორისო ტურნირში 15 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წარმატებით იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა, რომლებმაც სხვადასხვა ასაკში 4 ოქროს, 5 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ხვიჩა სიჭინავა (10-11-წლამდელებში), ნიკოლე დემურაშვილი (12-13 წ.), ნიკა ახალაძე (14-15 წ.) და ლუდა მარკოვა (16-17 წ.). ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ საბა ქაქუთია, ლევან ბერიძე, გიგი ალანია (სამივე — 10-11 წ.), ლიზი ზვიადაური (14-15 წ.) და გიორგი ზენაიშვილი (16-17 წ.), ხოლო მესამე ადგილები დაჩი ბერიძემ (10-11 წ.), ლუკა ქაჯაიამ, დავით საღრიშვილმა და ჯემალ მიქელაძემ (12-13 წ.) დაიკავეს.




ქართველმა კარატისტებმა ბრინჯაოს ორი მედალი გუნდურშიც დაიმსახურეს: 14-15 წლამდელებში — ლუკა ქაჯაია, ჯემალ მიქელაძე, ნიკა ახალაძე და შალვა ფურცხვანიძე, ხოლო 16-17 წლამდელებში ლუკა ხვედელიანი, გიორგი ზენაიშვილი და დავით საღრიშვილი გავიდნენ მესამე ადგილზე.

**გივი გაგუა**

სამართალი ვერ დაპურდა

# გეგეშიძეს – 5000-ლარიანი გირაო

**თბილისის საქალაქო სასამართლოში მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილისა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ გეგა გეგეშიძის დაპირისპირების საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა. გუშინდელ სხდომაზე მოსამართლე ნიკა მარგველაშვილმა გეგა გეგეშიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელა.**

პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღინისძიების სახით 5000-ლარიანი გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. გეგეშიძე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გუშინვე, გირაოს გადახდის შემდეგ გათავისუფლდა. სასამართლომ იგი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზეც დატოვა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ (გეგა) გეგეშიძე სპორტის სასახლეში მასსა და ევროპის ორგზის ჩემპიონ ზურაბ დათუნაშვილს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დააკავეს, რაც ძალადობას გულისხმობს.

**კობა კობახიძე**



ციგაობა

# სანკტ-მორიცში – ერთადგილიანი ციგებით




**ახალგაზრდა მოციგავეთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი გაიმართა შვეიცარიულ სანკტ-მორიცში, სადაც 2020 წელს ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება.**

ერთადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში 47 მონაწილეს შორის 16 წლის მესტიელმა ლაშა მჭედლიანმა (1.49.904) მეშვიდე ადგილი დაიკავა და ზამთრის ოლიმპიური ფესტივალისთვის სარეიტინგო ქულები გაიმდიდრა. ლაშას ბიძაშვილი — 15 წლის ლუკა მჭედლიანი (1.57.366) პირველი დაშვებისას შეცდა და საბოლოოდ 39-ე ადგილს დასჯერდა. კვარცხლბეკზე კი ადგილები ასე განაწილდა: 1. გინტს ბერზინში (ლატვია, 1.48.099); 2. პაველ რეპილოვი (რუსეთი, 1.49.067); 3. მარიან სკუპეკი (სლოვაკეთი, 1.49.074).

**თამაზ პატარიძე**

სამთო თხილამურები

# დობიაცოსა და ბაკურიანში

**იტალიურ დობიაცოში გამართულ მოთხილამურე ქალთა საერთაშორისო ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 36 წარმომადგენელი შეიკრიბა, სადაც სლალომში ნინო წიკლაურმა ორი დაშვების ჯამში (1.36.11) მე-10 ადგილი დაიკავა. პირველ-მესამე ადგილებზე ჯესიკა ჰურტი (აშშ, 1.30.44), რესი სტიეგლერი (აშშ, 1.32.88) და ლუკრეცია ლორენცი (იტალია, 1.33.27) გავიდნენ.**

ბაკურიანმა კი საქართველოს სამთო მოთხილამურეთა თასის გათამაშების მეორე ეტაპს უმასპინძლა. დიდველზე მოწყობილი ასპარეზობის პირველ დღეს სლალომში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სვანეთის, გუდაურის, აჭარის, ბაკურიანის გუნდები, წმინდა გიორგის სახელობის სკოლის მოსწავლეები და ბაკურიანის სასპორტო სკოლების წევრები. სამ ასაკში სულ — 71 სპორტსმენი.

პირველ ადგილებზე გავიდნენ: **2005-2006 წლებში დაბადებულნი** - ანი ჩიტაძე (გუდაური, 1.55.25) და ოთარ წულეისკირი (ბაკურიანი, 1.32.87); **2003-2004 წ.წ.** — ელენე ჩივაძე („სკი ჰაუსი, 1.46.54) და ლუკა ბუჩუკური (გუდაური, 1.25.38); **2002 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი** — კატო გოცირიძე (გუდაური, 1.22.60) და ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.18.60).

მეორე დღე გიგანტურ სლალომში შეჯიბრებას დაეთმო. პირველები იყვნენ: **2005-2006 წ.წ.** — მარიამ ჯაფარიძე (სვანეთი, 55.76) და ლუკა დულათი (ბმკა, 51.96); **2003-2004 წ.წ.** — მარიამ ნავერიანი (სვანეთი, 57.26) და ირაკლი არღვლიანი (სვანეთი, 48.32); **2002 წ. და ადრე** — ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 52,89) და გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 48.52).

**ლაშა დიდია**




ჭადრაკი

# გიბრალტარში საათები ჩართეს

**მოჭადრაკეთა ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ფესტივალს გიბრალტარი მასპინძლობს. მთავარ ტურნირში 57 ქვეყნის 249 ქალ-ვაჟი ჩაება, მათ შორის — სამი საქართველოდან. შეჯიბრების გამარჯვებული 25.000 გირვანქა სტერლინგით დაჯილდოვდება (მთავარი პრიზი არ იყოფა — თანაბარი ქულების შემთხვევაში პირველადგილოსანს პლეიოფი გამოავლენს), მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 20.000-15.000-10.000 და 8.000 გირვანქა სტერლინგს მიიღებენ. ქალებში უძლიერესს 15.000 შეხვდება (პირველი პრიზი აქაც არ იყოფა), მეორე-მეხუთეადგილოსნები — 10.000-6.000-4.000-3.000-ს. ფულადი პრიზი სულ 15-15 ქალ-ვაჟს შეხვდება.**

ტურნირის რეიტინგ-ფავორიტია ფრანგი მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (2780). მასთან ერთად 2700-იანთა კლუბის კიდევ 14 წარმომადგენელი ჩაებმება პრიზებისთვის დავაში — ლევონ არონიანი (სომხეთი, 2767), ვესლი სო (აშშ, 2765), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2749) და დავიდ ნავარა (ჩეხეთი, 2738). ქალებში ფიდეს კლასიფიკაციის პირველი ათეულის ექვსი წარმომადგენელია: მსოფლიოს ჩემპიონი ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), ანა და მარია მუზიჩუკები (ორივე — უკრაინა), ჰამპი კონერუ (ინდოეთი), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი), თან ჟუნი (ჩინეთი), ასევე, ევროპის სამგზის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი), მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) და სხვები.

პრიზიორთა გამოსავლენად 10 ტური გათამაშდება. უკვე გაიმართა ორი ტური. თბილისელმა ივან ჩეპარინოვმა ორივე პარტია მოიგო. მეორე შეხვედრაში მან ქალთა შორის ევროპის სამგზის ჩემპიონ ვალენტინა გუნინას (რუსეთი) სძლია. ნინო ბაციაშვილმა მე-2 ტურში ფიდეს ოსტატი ენდი ბერტი (ბელგია) დაამარცხა, ხოლო ლელა ჯავახიშვილმა ენრიკე ვეგა ოსუნას (ესპანეთი) აჯობა, რომელიც პირველ ტურში ნინო ბაციაშვილს შეუთანხმდა ყაიმზე.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

# კანადელმა დაიწუწუნა...

**24 წლის კანადელი ტურფა ეჟენი ბუშარი ჩოგნის მარჯვედ ქნევის გარდა საყოველთაოდ ცნობილი სოციალურ ქსელში მის მიერ დაწერილმა პოსტმა გახადა, სადაც საჯაროდ დაიწუწუნა, რომ 457 დღე სექსი არ ჰქონია, რაც მისთვის ნამეტნავად რთული და მწუხარებით გადასატანი ამბავი იყო.**

ამის შემდეგ ჯენიმ დაწერა, რომ მან უბრალოდ იხუმრა და აღნიშნული პოსტი გართობის მიზნით დაწერა, მაგრამ სიტყვა „სექსის“ ხსენება ზოგადად ისეთი რამაა, ახალგაზრდას კი არა, მოხუცსაც ღლაბუცის მოყვარულად აქცევს და ასეთი ამბის ხელიდან გაშვება, აბა, როგორ იქნებოდა?!

ბუშარი გარეგნობითაც რომ არ დაიწუნება, ამას ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფოტოდანაც დაინახავთ. ახლა მას, უბრალოდ, ისღა დარჩენია, სხვა ეპატაჟური ლამაზმანების მსგავსად ფერადი ჟურნალებიდან სარფიან შემოთავაზებებს დაელოდოს და გახდისთვის გახაზირებული საწმერთული მალიმალ ისწოროს...

**ბეჟან დოლიძე**



# ალპინისტი ძაღლები



*როდესაც ალპინისტები მწვერვალზე მიდიან, მახლობელი სოფლებიდან ძაღლებიც აედევნებიან ხოლმე. უმეტესობას გზიდანვე აბრუნებენ, ზოგი თავისით ბრუნდება, თუმცა არიან გამონაკლისებიც. ნაპრალა სწორედ ასეთი ძაღლი იყო. რამდენჯერ დალაშქრა მყინვარი, ზუსტად არავის ახსოვს.*

*დაახლოებით 20 წლის წინ, თარიღი ზუსტად აღარავის ახსოვს, ეს მაწანწალა ძაღლი პოლონელ ალპინისტებს აეკიდა და გზაზე 20 მეტრამდე სიღრმის ნაპრალში ჩავარდა. პოლონელებმა ძაღლი იქვე დატოვეს. სამი დღის შემდეგ უკვე სხვა ექსპედიციას ყეფა შემოესმა. ძაღლი ალპინისტმა ლევ სარქისოვმა ამოიყვანა. სანამ ამოჰყავდა, ცხოველმა რამდენჯერმე კბენაც მოასწრო. იმ დღეს შეერქვა ნაპრალა.*

*„ამის შემდეგ, წლების განმავლობაში, გერგეთს რომ მივუახლოვდებოდით, საიდან გაიგებდა ან საიდან გამოძვრებოდა, წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ გამოქანდებოდა და მლოკავდა ხოლმე“, — ამბობს ლევ სარქისოვი.*

## ალპინისტების თილისმა

**ნაპრალა ხან ერთ ჯგუფს მოჰყვებოდა მთაში, ხან — მეორეს. ვისაც კი ოდესმე წრიაპი გაუკეთებია ფეხზე, ყველა იცნობდა. მას ეფერებოდნენ, აჭმევდნენ, ფოტოებს იღებდნენ...**

რატომ მოსწონდა ნაპრალას მყინვარწვერზე სიარული, არავინ იცის, არადა, ადვილი საქმე სულაც არ იყო, ციოდა, ყინავდა...

**„მწვერვალზეც ამოვიდა რამდენჯერმე. ერთხელ ძალიან ცუდი ამინდი იყო, ბოლომდე ვეღარ ამოგვყვა და უნაგირაზე დარჩა. უკან რომ ვბრუნდებოდით, ამინდი კიდევ უფრო გაფუჭდა. ვხედავ, ნაპრალა დახვეულა თოვლზე და ბეწვზე ლოლუები ჰკიდია. ხელით შევანჯღრიე, ნაპრალ, ნაპრალ-მეთქი. წამოხტა შეშინებული და მიკბინა“,** — იხსენებს ბიძინა გუჯაბიძე.

## ალპინისტი აღჭურვილობის გარეშე

ნაპრალა ხშირად რჩებოდა მეტეოსადგურზე, ზღვის დონიდან თითქმის 4 ათას მეტრ სიმაღლეზე. ბუნაგი შენობის ქვეშ ჰქონდა მოწყობილი.

**„ერთხელ ოთხნი ჩავრჩით მეტეოსადგურში. ძალიან ცუდი ამინდი იყო და გადავწყვიტეთ, უკან დავბრუნებულიყავით. გამოვედი და დავუძახე: „ნაპრალ, წავიდეთ!“. გამოძვრა, ერთი შემოგვყმუვლა, ხომ არ გადარეულხართ, ამ ამინდში სად მიდიხართო, და შეძვრა უკან. რომ გამოიდარა, ნაპრალა თავისით ჩამოვიდა ყაზბეგში“,** — ამბობს ბიძინა გუჯაბიძე.

ექსპედიციაში ძაღლის წაყვანა ზედმეტი შარია, ვერც თოკში ჩააბამ და ვერც სადმე ჩავარდნილს დატოვებ... მოკლედ, არანაირი სარგებლობა არ მოაქვს, თუმცა ეს განსაკუთრებული ძაღლი „კარგი ტიპი“ იყო და ყველას უყვარდა. ნაპრალას მოტივაციაც, ალბათ, ეს იყო, თორემ რატომ უნდა მოუნდეს ძაღლს მწვერვალზე აბობღება?!

**„ვამბობდი, რადგან ასე უნდა სიარული, პატარა ზურგჩანთა მაინც შევუკეროთ, თავისი საჭმელი წამოიღოს-მეთქი“...**

ასე, უჩანთოდ და „ფეხშიშველი“ რამდენჯერმე ავიდა მწვერვალზე. ერთხელ სხვა ძაღლიც წამოიყვანა, თან გზას ასწავლიდა, სად უნდა გადასულიყო და სად — არა... როცა მობერდა, უკვე მეტეოსადგურში ტოვებდნენ.

## უდაბნოში მოცეკვავე კონი

**ნაპრალას გადამრჩენელ ლევ სარქისოვს თავისი ძაღლიც ჰყავდა, შოტლანდიური ნაგაზი — კონი.** შორ მარშრუტებზე — პამირში და ტიან შანზე — ყოველთვის თან დაჰყავდა. ჯგუფს თვითმფრინავით გაუშვებდა ხოლმე და თავად სატვირთო მანქანით მიდიოდა ყარაყუმის უდაბნოს გავლით.

**„უდაბნოში მანქანიდან რომ გადმოდიოდა, ცხელ ქვიშაზე თათის დადგმა უჭირდა და ბალერინასავით დადიოდა ხოლმე... მწვერვალზე არა, მაგრამ საბაზო ბანაკამდე ნამდვილად ამოდიოდა. იქ კარავში ჩემთან ეძინა, მათბობდა ხოლმე“,** — ამბობს ლევ სარქისოვი.

ერთხელ კონი უშბაზე ექსპედიციისას დაიკარგა. უფრო სწორად, ძაღლი ბანაკში დარჩა, იქ კი ვიღაცამ შაშხანა ისროლა, რისიც კონის ძალიან ეშინოდა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

**„მწვერვალიდან ახალი ჩამოსული მოყინული ფეხებით, სისხლით სავსე ფეხსაცმელებით წავედი უკან ამ ძაღლის მოსაძებნად. ყეფა მესმოდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, საით იყო. მერე ბავშვებმა მოიყვანეს“,** — იხსენებს პატრონი.

ლევ სარქისოვი მთაში დაკარგული კიდევ ერთი ძაღლის ამბავს ჰყვება.

ჩრდილოეთ კავკასიაში თავისუფალი ესპანეთის მწვერვალზე რომ ადიოდნენ, მთელი ღამე ძაღლის ყეფა ესმოდათ. უკანა გზაზე პატარა ლეკვი იპოვეს.

**„ვიღაცას გაჰყვა, როგორც ჩანს, და იმათ ყურადღება არ მიაქციეს. თოვლი იდო გარშემო, მზე ანათებდა და უცნაურია, რომ არ დაბრმავდა, ძაღლს სათვალე ხომ არ ექნებოდა. „კაპიუშონში“ ჩავისვი და ჩამოვიყვანე ბანაკში. მერე რამდენჯერაც მოვიდოდით იმ ბანაკში, ყოველთვის გვცნობდა“,** — ამბობს ლევ სარქისოვი.

მყინვარწვერზე მიმავალ დამწყებ თუ პროფესიონალ ალპინისტებს დღესაც აედევნებიან ხოლმე ჩვეულებრივი სოფლის ძაღლები, უჯიშო, უწვრთნელი, უპატრონო ან პატრონიანი... ზოგს შეიძლება სახელიც არ ერქვას, როგორც ნაპრალას არ ერქვა, სანამ ნაპრალში ამოყოფდა თავს.

ბიძინა გუჯაბიძე ამბობს, როცა მეკითხებოდნენ, რატომ დადიხართ მთაში, თავს საფრთხეში რატომ იგდებთო, ნაპრალას მაგალითი მომყავდა ხოლმე: „აგერ, ძაღლი დადის და ჩვენ რომ ვიაროთ, რა გასაკვირია-მეთქი“.

**თეა თოფურია**

## სანთელი



**შვილები ნაირა, ქეთევან, თამარ ჭაბაშვილები, სიძე რამაზ ხეცურიანი, შვილები თინათინ და ლევან ხეცურიანები, სოფო კრავეიშვილი, სიძეები კუსა დოლიძე, ოლივიე მილიშერი, რძალი ნატუკა ქარქაშაძე და შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

# ციცინო სტეფანეს ასული ჭაბაშვილი

**პანაშვიდი: 25, 26 იანვარს, 17 სთ;**

**მისამართი: ფანასკერტელის (ყოფილი ბახტრიონის) I კორპუსი, III სადარბაზო;**

**გამოსვენება: სამედიცინო უნივერსიტეტის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიიდან, კვირას, 27 იანვარს, 14 საათზე.**

---

**ნელი, ზაურ ფხალაძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ნაირა ჭაბაშვილის დედის და რამაზ ხეცურიანის სიდედრის**

# ციცინო სტეფანეს ასული ჭაბაშვილის

**გარდაცვალების გამო**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი იშხნელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი იშხნელი (პ/ნ 01003008966), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.010.006.01.143https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27661.30 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 25 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 11 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57955619;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 579556

6. **მოვალე:** ტარიელ იშხნელი (პ/ნ 01003001963), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143;

გიორგი იშხნელი (პ/ნ 01003008966), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57955619; ლოტის ნომერი: 579556).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 11 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# კოსტავას ქუჩაზე ჩინური რესტორანი გაქურდეს შემთხვევა გუშინ დილით მოხდა

არსებული ინფორმაციით, მოპარულია ძვირადღირებული ტექნიკა, კომპიუტერების, აქსესუარები და ფულადი თანხა. მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო:

**„9-ის 20 წუთზე, როგორც კამერებში ვნახეთ, გატეხეს რესტორანი, შემოვიდნენ, წაიღეს ძვირადღირებული სამუშაო ტექნიკა, თანხის ოდენობა დადგინდება დროთა განმავლობაში. ორი ადამიანი ჩანს, რომელიც ჩამოდის, კაპიუშონი ახურავს და სამედიცინო ნიღაბი უკეთია, რომლებიც ასე ვთქვათ, მუშაობენ ამ საქმეზე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არასრულწლოვნები არიან. ძალიან მიკვირს, რომ 9-ის ნახევარზე, დღისით, მზისით მოხდა ეს ყველაფერი. გვერდზე არის ტელევიზია, გვერდზე არის პოლიცია 50 მეტრში“,** — განაცხადა რესტორნის დირექტორმა.

# ავარია ნატახტართან

**მსხვერპლით დასრულდა ნატახტართან მომხდარი ავარია. თვითმხილველთა თქმით, მსუბუქი ავტომობილი შუახნის მამაკაცს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 276 მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ვიქტორ იანუკოვიჩი – სახელმწიფო მოღალატე



**კიევის ობოლონსკის რაიონულმა სასამართლომ უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი სახელმწიფო ღალატში დამნაშავედ ცნო. სასამართლომ სახელმწიფო ღალატის შესახებ საქმის განხილვა 2017 წლის ივნისში დაიწყო. ეს სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმეა, რომელიც უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის წინააღმდეგ დაიწყო.**

პროკურატურა იანუკოვიჩისთვის უვადო პატიმრობის შეფარდების მოთხოვნას აპირებდა, თუმცა მოგვიანებით ბრალდებამ ყოფილი პრეზიდენტისთვის 15-წლიანი პატიმრობა მოითხოვა. იანუკოვიჩი ბრალს კატეგორიულად უარყოფს.

ვიქტორ იანუკოვიჩს განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანეს, რადგან ის უკრაინაში 2014 წლიდან არ იმყოფება.

# ვლადიმირ პუტინის რეიტინგი დაეცა

**რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიმართ ნდობის რეიტინგი 2006 წლიდან ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა. ინფორმაციას სოციოლოგიური ცენტრი ავრცელებს. ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ამჟამად რუსეთის პრეზიდენტს მოსახლეობის მხოლოდ 33,4% ენდობა.**



კიდევ ერთი სოციოლოგიური ფონდის „საზოგადოებრივი აზრის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა, 54% აცხადებს, რომ ბოლო დროს ხელისუფლების ქმედება მათში უკმაყოფილებას ან აღშფოთებას იწვევს.

# შიმპანზეები ვოლიერს თვითონ ალაგებენ

**ჩინეთის ერთ-ერთი ქალაქის (Shenyang) ზოოპარკში, შიმპანზეებმა ვოლიერის დასუფთავება ისწავლეს და ეს ზოგიერთ ჩვენგანზე უკეთ გამოსდით. როგორც ზოოპარკის ადმინისტრაციაში ამბობენ, აღნიშნული მაიმუნების IQ 3-4 წლის ადამიანის IQ-ს უტოლდება.**

ზოოპარკის თქმით, შიმპანზეები დამლაგებლებს ხშირად აკვირდებოდნენ, როდესაც ისინი ვოლიერებს ასუფთავებდნენ. ერთხელაც, ცოცხი თავად აიღეს ხელში და თავადაც დაიწყეს ვოლიერის დაგვა.



# სასუქი, წყალბადი და სუფთა წყალი



ცოტა ხნის წინათ ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გამართულ გამოფენაზე „რაინვანთედ ტუალეტ ექსპო“, კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელმა **ბილ გეიტსმა** ერთობ სენსაციური მოხსენება წაიკითხა და არანაკლებ სენსაციური ტექნიკური სიახლე – ორსართულიანი მაღალტექნოლოგიური საპირფარეშო კომპლექსი წარადგინა, რომლის შექმნა პირადად დააფინანსა.

ტუალეტი ბილ გეიტსისთვის კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა, ინჟინერ **მაიკლ ჰოფმანის** ხელმძღვანელობით შექმნეს.

გამოფენის ფარგლებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე გამოსვლისას ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ **ეკოლოგიურად სუფთა საპირფარეშოებში უდიდეს საჭიროებას დედამიწაზე ამჟამად ოთხ მილიარდზე მეტი კაცი განიცდის,** რომლებიც კანალიზაციის სისტემამოკლებულ ადგილებში, მათ შორის მეგაპოლისების ჯურღმულებში ცხოვრობენ, სადაც ამის გამო ათასგვარი ინფექციური სნეულებით ავადდებიან. მათი გადარჩენის ერთ-ერთი უმთავრესი გზა მინიმალური ოდენობით წყლის მომხმარებელი საპირფარეშოებია.

აღსანიშნავია, რომ 200 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი სუპერთანამედროვე საპირფარეშოს მიერ ფეკალიების გადამუშავების შედეგად მიიღება – **სასუქები, წყალბადი და... სუფთა წყალი.**

# თუ კაცი ცრუობს...



**ადამიანები ტყუილს ქვეცნობიერად გრძნობენ. მკვლევარების დაკვირვებით მატყუარებს გასცემენ მათი სხეულის, სახისა და ხმის ნიშნები, რომლებსაც თანამოსაუბრე გონებით ვერ ამჩნევს, მაგრამ ქვეცნობიერად კი აღნუსხავს.**

მატყუარის გამოსაცნობად საჭიროა, მას რაც შეიძლება მეტი კითხვა დაუსვათ და შემდეგ თქვენი გუმანით გამოტანილ დასკვნას მიუგდეთ ყური.

# თუ გულიდან დარდის გადაგდება გსურთ...

**მეცნიერებმა უარყოფითი აზრებისგან გონების განტვირთვის საუკეთესო ხერხს მიაგნეს. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ეფექტიანია ბოროტი აზრის ქაღალდის ფურცელზე დაწერა, შემდეგ კი დაწვა ან დახევა.**



მკვლევარების განცხადებით, ქაღალდებზე დაწერილ აზრებს ადამიანები როგორც მატერიალურ ობიექტს ისე უდგებიან. ამდენად, მისი განადგურებით ადამიანი ნეგატიური ემოციებისგან იცლება.

## გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

**დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად ისევ უჭირს. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6599; ევრო - 3.0211;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4533
100 რუბლი - 4.0200; თურქული ლირა - 0.4835;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5692;
1000 სომხური დრამი - 5.4928.

**ამინდი 25 იანვრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -2, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -8, | დღე +12 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +7, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +13 |
| თბილისი: | ღამე +2, | დღე +12 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge